# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 12 იანვარი 2001 №1 (1274) | ფასი 50 თეთრი


## გმადლობთ!

ყურადღებისთვის, მოლოცვებისთვის, მრავალი კეთილი სიტყვისა და სურვილისთვის გიმადლით ყველას — კოლეგებს, მეგობრებს, კეთილისმსურველებს, ოფიციალურ პირებსა და ორგანიზაციებს!

ჩვენს წილად გალეული ათი წლის თავზე გისურვებთ სიკეთით მოყრილ მრავალწლოვან იუბილეებს, სიხარულს საქმეში, ბედნიერებას და ჯანმრთელობას ცხოვრებაში

გმადლობთ! გადაგვეხადოს!

**სარბიელელები**

## ისტორია შვიდ წელიწადში ერთხელ მეორდება

„ლოკომოტივის" ...საჭეობა რევაზ ძოძუაშვილისგან გივი ნოდიამ გადაიბარა

## რევოლუცია იტალიაში





ძოფმა ერიკსონი, საკიმ მალეზანი შეცვალა

## დიდება ჰასანს



ეგვიპტელმა მათეუსის რეკორდი დაამხო

# გიორგი ასანიძემ საუკუნე გაასრულა



უკვე მეორედ! გიორგი ასანიძე საქართველოში საუკეთესოა

[illegible] ფოტო

ევროპის ჩემპიონატის ოქრო, მსოფლიოს რეკორდი და ოლიმპიური ბრინჯაო — ასეთი გახლდათ საჩხერელი ძალოსნის გიორგი ასანიძის შარშანდელი მონაგარი, ამიტომაც იყო, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციულ გამოკითხვაში ჟურნალისტთა ამქარმა ასანიძე ქვეყნის 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენად რომ დაასახელა. მსგავსი პატივი გიორგის 1998 წელსაც ერგო.

საუკეთესო ათეულში სიდნეის ოლიმპიური თამაშების ქართველი ბრინჯაოსმედალოსნები, ერთი ევროპის ჩემპიონი მოჭიდავე, ორი ფეხბურთელი და ერთადერთი მანდილოსანი, მოჭადრაკე ნინო ხურციძე მოხვდნენ.

ეს ყველაფერი 29 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ მოწყობილ საქართველოს 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალსა და საახალწლო ლხინისას გაცხადდა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

## საქართველოს 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული

| | | |
|---|---|---|
| გიორგი ასანიძე | (ძალოსნობა) | 380 ქულა |
| გიორგი ვაზაგაშვილი | (ძიუდო) | 292 |
| აკაკი ჩაჩუა | (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) | 28? |
| ელდარ კურტანიძე | (თავისუფალი ჭიდაობა) | |
| მუხრან ვახტანგაძე | (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) | |
| ვლადიმერ ჭანტურია | (კრივი) | |
| ემზარ ბედინეიშვილი | (თავისუფალი ჭიდაობა) | |
| კახა კალაძე | (ფეხბურთი) | |
| ლევან კობიაშვილი | (ფეხბურთი) | |
| ნინო ხურციძე | (ჭადრაკი) | |

...შენა- ...ქვეთიაა. ...ალური მე- ...უცაევის ძალის-

...ამაჩებაში მიიღებს მონაწილეობას.

მოსკოვში გამგზავრებამდე ქუთაისელები საკონტროლო მატჩის გამართვასაც აპირებენ. 15 იანვარს „ტორპედო" გრიგოლეთში „კოლხეთს" დაუპირისპირდება.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

# ისტორია მეორდება რვა წელიწადში ერთხელ

## ლოკომოტივი: კარგი, ამაყი, შმადური



1993 წელი. რევაზ ძოძუაშვილი (მარცხნივ) „დინამოდან“ დაითხოვეს და მაშინდელი ჩემპიონი გივი ნოდიას ჩაბარეს. ახლა ისტორია განმეორდა. „ლოკომოტივიდან“ წასული ძოძუაშვილი ისევ ნოდიამ შეცვალა

**რევაზ ძოძუაშვილი,** ისევე როგორც რვა წლის წინ — 1993-ში, გივი ნოდიამ შეცვალა, ამჯერად თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელის პოსტზე.

მაშინაც, ისევე როგორც ახლა, ვითარება ცოტა უცნაური იყო.

უწინ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში პრესკონფერენცია გამართა და საჯაროდ, მგონი, ძოძუაშვილისთვისაც მოულოდნელად განაცხადა, ახალი მწვრთნელი ნოდია იქნება და მოახლოებული საევროპე დებიუტისთვის „დინამოს“ სწორედ ნოდია მოამზადებსო.

ახლა იყო და, შარშანდელ 26 დეკემბერს რევაზ ძოძუაშვილი კიდევ წვრთნიდა „ლოკომოტივს“, გუნდმა „ბენდელას თასზეც“ მისი ხელმძღვანელობით ითამაშა და... 27-ში ძოძუაშვილმა ლატვიაში სამი რკინიგზელი, გონჩაროვი, პარამონოვი, აბრამიძე წაიყვანა ერთ-ერთ იქაურ გუნდში გასასინჯად და 29 დეკემბერს, როცა „სარბიელი“ საშობაო არდადეგებზე იყო, თავის მეგობრის ხელით „ლოკომოტივისა“ და რკინიგზის დეპარტამენტის უფროსებს თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე დაწერილი განცხადება გამოუგზავნა — მე ეროვნული გუნდის მწვრთნელიც ვარ და რადგანაც „ლოკომოტივისა“ და ნაკრების ერთდროულად გაწვრთნა დიდ პრობლემებს მიქმნის, გთხოვთ, თქვენი გუნდის მწვრთნელობიდან გამათავისუფლოთო.

30 დეკემბერს „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე და ვიცე-პრეზიდენტი ტარიელ ღვაბერიძე თავად დაუკავშირდნენ დღემდე ლატვიაში მყოფ რევაზ ძოძუაშვილს და ყველაფერიც მაშინ გადაწყდა — ძოძუაშვილი „ლოკომოტივიდან“ განთავისუფლდა. ორიოდ დღეში კი რკინიგზელებმა მისი შემცვლელიც ნახეს, პირველივე ვარიანტმა გაუმართლათ, „ლოკომოტივის“ წინადადებას სანკტ პეტერბურგში მყოფი გივი ნოდია დათანხმდა და 14 იანვრიდან გუნდს ის ჩაიბარებს.

ახლა უფრო დაწვრილებით ვთქვათ, რა უძღოდა წინ ძოძუაშვილის „ლოკომოტივიდან“ წასვლას.

10 დეკემბერს, საქართველოს თასის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში, შინ, სამგურალთან წაგების შემდეგ ძოძუაშვილი და აკაკი ჩხაიძე საკმაოდ მწვავედ შელაპარაკდნენ. რალაცით გულმოსულმა ჩხაიძემ ძოძუაშვილსა და მის ორ თანაშემწეს პირდაპირ უთხრა, არც ერთი მჭირდებით, გუნდიდან თავისუფლები ხართო. ძოძუაშვილმა დაიხურა ქუდი და სახლში წავიდა. პრეზიდენტმა კი იმ სალამოსვე გვითხრა, ის სიტყვები ძოძუაშვილსა და მის თანაშემწეებს განერვიულებულმა ვუთხარი, ეგ არაფერი, ძოძუაშვილი არსად გამიშვია. ის ისევ „ლოკომოტივის“ მწვრთნელიაო.

მაშინ მწვრთნელსაც ბევრი არაფერი უთქვამს — გუნდიდან არ წამოვსულვარო. რამდენიმე დღის შემდეგ კი... „ლოკომოტივის“ უფროსებს უნდა შევხვდე და ჩემს მომავალზე დაველაპარაკო, მათ ზარს ველიო. ჩხაიძეც ძველებურ აზრზე იყო — „ლოკომოტივის“ მწვრთნელი ძოძუაშვილია, მის განთავისუფლებას არ ვაპირებთო.

აი, ასე გრძელდებოდა 28 დეკემბრამდე. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი და რევაზ ძოძუაშვილი მაინც არ შეხვედრიან ერთმანეთს.

— სხვა რა გზა გვქონდა, მწვრთნელმა განცხადება დაწერა და მიუხედავად იმისა, რომ სურვილი გვქონდა, რევაზ ძოძუაშვილი „ლოკომოტივში“ დარჩენილიყო, მისი თხოვნა დავაკმაყოფილეთ. თანაც ისეთი მიზეზი გვითხრა, ხელს ვერაფრით შევუშლიდით. ყველა კლუბის ხელმძღვანელმა ჯერ საქართველოს ნაკრებზე უნდა იფიქროს და თუ მისი ინტერესები ეროვნული გუნდისას ეწინააღმდეგება, ქვეყნის გამო უნდა დათმოს. ჩვენც ასე მოვიქეცით, თუ ძოძუაშვილის მწვრთნელობით ნაკრები რამეს მიაღწევს, ეს ხომ ჩვენთვისაც საამაყო იქნება — გვითხრა „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.

თავად ძოძუაშვილი კი, როგორც ზემოთ ვთქვით ლატვიაშია და ნაკრებთან ერთად სამწვრთნელ საქმეს ახლა „ტორპედოში“ გააგრძელებს.

ამასობაში კი არც თუ უსაფუძვლო ხმები დაირხა რევაზ ძოძუაშვილს რამდენიმე ფეხბურთელი და ნაკრების კანდიდატი „ლოკომოტივიდან“ „ტორპედოში“ თან მიჰყავსო.

— იმ ფეხბურთელთა გარდა, რომლებიც ძოძუაშვილმა ჩვენი თანხმობით ლატვიაში წაიყვანა, მხოლოდ ერთი, სევასტი თოდუა არ ვარჯიშობს ჯერჯერობით „ლოკომოტივში“. ის, როგორც ვიცი, შუა აზიის რომელიღაც ქვეყანაში აპირებს კარიერის გაგრძელებას და არა „ტორპედოში“. სხვა ყველა გუნდშია, ისინი დილის ბაზაზე, ძოძუაშვილის ყოფილი თანაშემწეების — კოტრიკაძისა და ჩხაიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ. „ლოკომოტივს“ კი 14 იანვარს გივი ნოდია ჩაიბარებს — ესეც ტარიელ ღვაბერიძემ გვითხრა.

ახლა „ლოკომოტივის“ ახალ მწვრთნელზე. გივი ნოდია ექვსი წელია, რუსეთშია. იგი სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივს“ წვრთნიდა. ეს გუნდი მან მაშინ ჩაიბარა, როცა რუსი რკინიგზელები მეორე ლიგაში თამაშობდნენ. შემდეგ კი ნოდიას „ლოკომოტივი“ ასევე სანკტ პეტერბურგის „სმენა სატურნს“ შეუერთდა და ნოდიასაც პირველლიგელი გუნდის გაწვრთნა მოუხდა. პირველ ლიგაში „ლოკომოტივის“ შედეგი მათთვის მაინცდამაინც სატრაბახო არ იყო. წარუმატებელ თამაშს, როგორც ადრე თავად ნოდიამ გვითხრა, ზედ ფინანსური კრიზისიც დაერთო და მწვრთნელმაც სანკტ პეტერბურგელ რკინიგზელებს ხელი დაუქნია. ახლა ის თბილისში მოიწვიეს და სამშობლოში ხვალ დაბრუნდება.

აი, ასეთი ამბებია ჩემპიონატის ლიდერ და საქართველოს თასის ნახევარფინალისტ თბილისის „ლოკომოტივში“. მწვრთნელი წავიდა, მწვრთნელი ჩამოდის.

ახლა კი ის წაიკითხეთ, რაც გუშინწვე გვითხრეს თბილისის „ლოკომოტივის“ ახალმა თავკაცმა გივი ნოდიამ და ქუთაისის „ტორპედოში“ მისულმა რევაზ ძოძუაშვილმა.

ერთს სანკტ პეტერბურგში შევეხმიანეთ, მეორეს — რიგაში.

— „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე სანკტ პეტერბურგში რომ დამიკავშირდა, ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო, ცოტა გამიკვირდა კიდეც. მის წინადადებაზე ორი დღე ვიფიქრე და დავთანხმდი, პირისპირ კი კლუბის პრეზიდენტს 14 იანვარს უნდა შევხვდე. მე აქ რუსეთში ექვსი წელი გავატარე, სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივმა“ სამწლიანი კონტრაქტი კიდევ სამით გამიგრძელა. ახლა კი ვფიქრობ, დროა, საქართველოში დავბრუნდე — ამბობს გივი ნოდია — ვიცი, „ლოკომოტივი“ საკმაოდ ამბიციური და კარგი გუნდია, ჩემპიონობისთვისაც იბრძვის და თასისთვისაც. მზად ვარ, რკინიგზელებს დავეხმარო დანარჩენი მერე ვთქვათ, თბილისში რომ ჩამოვალ.

— „ლოკომოტივმა“ ნამეტანი მომთხოვა: გუნდმა ჩემპიონობა უნდა მოიპოვოს, თასი, სუპერთასი, ევროპის საკლუბო ტურნირზე კი სამი-ოთხი ეტაპი გაიაროსო. გემოვნება, იცოცხლეთ, კარგი აქვთ, მაგრამ ყველაფერ ამას ხომ შესაბამისი პირობები უნდა. მადლიერი ვინ არის? ჩემი ხელმძღვანელობით „ლოკომოტივმა“ თასი აიღო, ახლა ნახევარფინალშია და ჩემპიონატშიც პირველ ადგილზე. ვინ დაგიფასა? გუნდში ბევრ ფეხბურთელს ნუ ავარჯიშებ, ბურთები ცვდებაო, მეუბნებოდნენ. ბაზა ისეთია, ვარჯიში ისე არ ჩაივლიდა, ერთ ფეხბურთელს მაინც ფეხი არ გადაბრუნებოდა. წყალი არა, კვება არა... ახლა გეკითხებით, ასეთ პირობებში როგორ მოვამზადო გუნდი, რომელიც იმას მიაღწევს, რაც ზემოთ ჩამოგითვალეთ? ესეც რომ არ იყოს, აგერ, ნაკრების მატჩებიც მოახლოვდა, მარტში უმნიშვნელოვანესი თამაში გველის რუმინელებთან, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ. რამდენჯერმე ვუთხარი „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებს, ნაკრების საბაზო გუნდი გავაკეთოთ და იმის პირობები შეგვიქენით, „ლოკომოტივიდან“ ეროვნული გუნდის კანდიდატები ნორმალურად მოემზადონ-მეთქი. მშიერ-მწყურვალი ფეხბურთელი მოუგებს რუმინეთს? ჰოდა, მეც დავტოვე „ლოკომოტივი“ და ნაკრების პარალელურად მუშაობას ქუთაისის „ტორპედოში“ გავაგრძელებ. „ტორპედოს“ მშვენიერი ბაზა აქვს, ჩინებული პირობები. სამჯერადი კვება, ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო და ბურთები და სხვა რაღა სათქმელია. მგონია, ყიფიანთან ერთად „ტორპედოს“ მწვრთნელობით ეროვნულ გუნდს მეტ სარგებელს მოვუტან, „ტორპედოში“ ნაკრების კანდიდატებსაც უკეთ მოვამზადებთ და საბაზო გუნდიც ქუთაისში იქნება.

გივი ნოდიას „ლოკომოტივის“ მწვრთნელად დანიშვნაზე რკინიგზელებმა აზრი მეც მკითხეს და გამიხარდა, რომ ასეთი სპეციალისტი საქართველოში ბრუნდება. მე კი ჯერ არ ვიცი, როდის ჩამოვალ, აქედან მოსკოვს გავემგზავრები და „ტორპედოს“ შევუერთდები, რომელმაც ესენგეს თასზე უნდა ითამაშოს — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა.

ის სამი ფეხბურთელი კი — გონჩაროვი, პარამონოვი და აბრამიძე — როგორც ჩვენმა ლატვიელმა კოლეგამ გვითხრა, დღესდღეობით ქვეყნის ჩემპიონ რიგის „სკონტოში“ ვარჯიშობს.

**კობა ინასარიძე**

---

# კალაძე: უნდა წავიდე! სურკისი: არ გაგიშვებთ!



*იმედია, საქართველოს ნაკრების მცველის კახა კალაძის ამბავი ბოლო დროს გახმაურებულ ზურაბ ხიზანიშვილის სკანდალურ საქმეს არ დაემსგავსება, მაგრამ ფაქტია, დღევანდელი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო წევრი და სახელმოხვეჭილი ქართველი ფეხბურთელი კიევის „დინამოდან“ წასვლას ლამობს, კლუბი კი თავისკენ ექაჩება და კაცმა არ იცის, ყოველივე რითი დასრულდება. არადა, ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, კალაძე უკვე მეტისმეტი ფუფუნებაა თვით ისეთი გუნდისთვისაც, როგორიც უკრაინული „დინამოა“. ნიჭიერმა ქართველმა სამ იანვარს სულაც ახალი ქართული ფეხბურთის საისტორიო წიგნი გადაფურცლა — მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა. კალაძის „მილანში“ თუ „ბაიერნში“ შესაძლო გადასვლაზე კი ხმები აგერ უკვე ნახევარ წელზე მეტია ისმის. კალაძეს კი კიევის „დინამოს“ პრეზიდენტი გრიგორი სურკისი რა ხანია, კლუბს ჰპირდება და ამით მის წასვლას აყოვნებს. ფაქტია, კალაძე დღესაც კიევშია, სადაც იაპონიიდან დაბრუნებულს დავუკავშირდით:*

— საუცხოო შეგრძნება იყო მსოფლიოს ნაკრებში მოხვედრა. ჩილავერტის, მათეუსის, ორტეგას, პროსინეჩკის გვერდით მომიხდა თამაში. დიდებული სიტუაცია იყო, ჩინებულად გვიმასპინძლეს, ყურადღება არ დაგვკლებია, თამაშიც სანახაობრივი თვალსაზრისით ურიგო არ ყოფილა. ამხანაგური შედეგით 1:1 კი დასრულდა, მაგრამ ბრძოლა იყო, ვაგებდით და მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოსულმა რობერტ პროსინეჩკიმ გვიხსნა მარცხისგან.

**— მსოფლიოს ნაკრებს არიგო საკი თავკაცობდა...**

— სხვათა შორის, ნამატჩევს ყველას მადლობა გვითხრა, განსაკუთრებით, რამდენიმეს მოგვიწონა გარჯა, მათ შორის, ერთ-ერთი მეც გახლდით.

**— შენს თამაშს როგორ შეაფასებდი?**

— შეუცვლელად ვითამაშე, საერთო ჯამში მგონი საიმედოდ გავისარჯე, არიგო საკიც კმაყოფილი დამრჩა.

**— გულშემატკივარი დღემდე ამაოდ ელის კალაძის რომელიმე ევროპულ გრანდში გადასვლას, ამას წინათ კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა კი დაუფარავად განაცხადა, ამ ეტაპზე კალაძის გაყიდვას არ ვაპირებთო...**

— ამ მხრივ ბევრს ვერაფერს გეტყვით, ჯერჯერობით სრული გაურკვევლობაა, სურკისის სიტყვები ჩემთვისაც ცნობილია, ბუნებრივია, იგი თავისას ცდილობს და საკუთარი შეხედულებაც გააჩნია, მაგრამ ჩემი მოსაზრება მკვეთრად განსხვავდება მისასგან, მე წასვლა მსურს „დინამოდან“ და ყველაფერს ვიღონებ საამისოდ, მაგრამ ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული, არც ის ვიცი, ამ მხრივ როდის გადაწყდება ყოველივე.

**— და მაინც, უახლოეს მომავალში სად უნდა ველოდოთ კალაძის გამოჩენას?**

— არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, კიევიდან წასვლა მსურს და ვიმეორებ, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ასი უკრაინელი თბილისში

**გუშინდლამდე** იყო მხოლოდ მოლაპარაკება და სიტყვიერი შეთანხმება, გუშინ კი საბოლოოდ გადაწყდა. 14 თებერვალს საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს სოლიდური სპარინგ-პარტნიორი ეყოლება — თბილისს უკრაინის ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები ეწვევიან.

როგორც ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, უკრაინელთა ასკაციანი დელეგაცია (ორივე ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელები და გუნდების ტექნიკური პერსონალი, ასევე ჟურნალისტებიც) 13 თებერვალს გვესტუმრებიან.

ახალგაზრდული და ეროვნული გუნდები ერთმანეთს ერთ დღეს, 14 თებერვალს დაუპირისპირდებიან. ახალგაზრდები „შევარდენზე" მოსინჯავენ ძალებს. თამაში 12 საათზე დაიწყება, ხოლო ეროვნული ნაკრებები ეროვნულ სტადიონზე 3 საათზე წარსდგებიან ერთმანეთის პირისპირ.

ერთი რამ ნათელია, 14 თებერვალს ქართველები უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდებიან სტუმრებს. ის კი უცნობია, რა გუნდით ჩამოვა უკრაინა. იქნებ ვალერი ლობანოვსკიმ ასე გადაწყვიტოს და შევჩენკო-რებროვის წყვილი ქართველთა დაცვას დაუპირისპიროს. არა, თამაში უმათოდაც რომ შეუძლიათ, ერთხელ უკვე დაგვარწმუნეს, როცა უკრაინამ 1999 წლის 20 მარტს რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე საქართველოს თბილისში 1:0 მოუგო.

**ზამუკა კვანტალიანი**



მიხეილ აშვეთია (ბურთით) ისევ გატორპედოელდა

# რატიანი თავისუფალი და პირობითი პატიმარია

**„დინამოს"** პრეზიდენტ მერაბ რატიანს სასამართლომ მძიმე ბრალდებები მოუხსნა, უდანაშაულოდ ცნო, თუმცა ხუთწლიანი პირობითი პატიმრობა შეუფარდა.

შეგახსენებთ, რომ რატიანს გაფლანგვაში და სხვისი ქონების მითვისებაში ედებოდა ბრალი. საუბარია გიორგი დემეტრაძის „ალანიასთან" კონტრაქტით მიღებულ თანხასა და TBC-ბანკიდან გამოტანილ კრედიტზე. ამ ბრალდებების წყალობით რატიანმა წინასწარი სამთვიანი პატიმრობაც მოიხადა და ამის შემდეგაც გამოძიების დაუსრულებლობის მოტივით კვლავ საპატიმროში იმყოფებოდა.



მერაბ რატიანი

სასამართლო კიდევ ერთხელ გაეცნო მოკვლეულ მასალებს და, როგორც გითხარით, „დინამოს" პრეზიდენტი უდანაშაულოდ ცნო, მაგრამ მისი პირობითი პატიმრობა იმით არის გამოწვეული, რომ სასამართლომ „დინამოს" საქმე კვლავაც დააბრუნა ძიებაში, აქცენტი ოთხეულზეა გაკეთებული. ესენი არიან: მერაბ ჟორდანია („დინამოს" ყოფილი პრეზიდენტი), ვალერი შალიკაშვილი (დირექტორატის წევრი), ნაზი მამეიანი (ბუღალტერი) და იგივე მერაბ რატიანი.

რა გასაკვირია, რომ სასამართლო პროცესის ფინალმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, რატიანის განთავისუფლებას დარბაზი ოვაციით კი შეხვდა, მაგრამ აშკარად უკმაყოფილო იყო მერაბ ჟორდანია და მისი ადვოკატი ლევან გორხელაშვილი. მას გუშინ ვესაუბრეთ და მოკლედ გვითხრა, სასამართლოს დადგენილება ჯერ არ მიგვილია, როცა გავეცნობით, დაუყოვნებლივ გავასაჩივრებთო.

**ბაატა კვანტალიანი**

# ჩემპიონი მოსკოვამდე გაიცხრილება

**გასული** საუკუნის უკანასკნელი წელი ჩვენს ფეხბურთში სხვა რამეებით თუ არა, იმით მაინც გამოირჩა, რომ ქვეყანას ახალი ჩემპიონი მოუვლინა. „ტორპედო" შეიქნა ის ძალა, რომელმაც „დინამოს" მარად პირველობას მოუღო ბოლო და უკვე თავად ცდილობს მოწინავე პოზიციის შენარჩუნებას. სხვა ამოცანა ქუთაისური კლუბის წინაშე ახლა არც დგას. მეთორმეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპის შედეგებით არცთუ კმაყოფილი (ქუთაისელებს „ლოკომოტივი" უსწრებს) „ტორპედოს" მესვეურნი კვლავაც საჩემპიონოდ რაზმავენ გუნდს და ამას საქმითაც ადასტურებენ. ორი აზრი არ უნდა იყოს — „ტორპედო" მომავალ ბატალიებში გაძლიერებული ჩაებმება.

ბევრი სიახლეა სადღეისოდ ქუთაისურ კლუბში, მოსალოდნელიც არანაკლები. მთავარ მოვლენად, ალბათ, ის უნდა მივიჩნიოთ, რომ გამართლდა ერთი თვის წინ გავრცელებული ხმები რევაზ ძოძუაშვილის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან წასვლის და „ტორპედოში" მისი დავით ყიფიანთან ერთად თანამშრომლობის შესახებ. ეროვნული ნაკრების თავკაცები კლუბშიც ერთად იმუშავებენ და ფუნქციებს აქაც თავად გაინაწილებენ და დააკონკრეტებენ. ისე, საშუასეზონო არდადეგების შემდეგ „ტორპედოში" არც ერთი გამოჩენილა, არც მეორე, ყიფიანი ავადმყოფობის გამო, ძოძუაშვილი კი ლატვიურ „სკონტოში" მორიგი ქართული დესანტის შესაძლო ტრანსფერის გადამკიდე.

ტორპედოელები 3 იანვარს შეიკრიბნენ საღორიის ბაზაზე და მას შემდეგ ინტენსიურად ვარჯიშობენ, მეტწილად „ტორპედოს" სტადიონთან არსებულ ხელოვნურსაფარიან მოედანზე. ვარჯიშებს მწვრთნელთა კვარტეტი — ჯემალ ხერხაძე, გელა კიკალეიშვილი, ალექსანდრ შტელინი, გიორგი აბზიანიძე — უძღვება. მოვარჯიშეთა 32-კაციან ჯგუფში, ფაქტობრივად, უკლებლივაა წარმოდგენილი ძველი შემადგენლობა და, ბუნებრივია, ახალი ფეხბურთელებიც. ახლებზე მოგახსენებთ.

„ტორპედოს" ყველაზე დიდი შენაძენი, ალბათ, მაინც მიხეილ აშვეთიაა. ქუთაისური კლუბის გენერალური მენეჯერის ვლადიმერ გუცაევის ძალისხმევით აშვეთია ვლადიკავკაზის „ალანიადან" გათავისუფლდა და სამწლიანი პაუზის შემდეგ ისევ „ტორპედოს" ღირსებას დაიცავს. მიხოს შესაძლებლობები კარგად მოგეხსენებათ — მეგოლე ასეთი უნდა. მშობლიურ გუნდში გააგრძელებს თამაშს გივი დიდავა. თელავივის „მაკაბი" ქართველ მცველს საბოლოოდ არადა, წელიწადნახევრით კი შეელია. თქმა არ უნდა, დიდავა „ტორპედოს" უკანა ხაზს გაამაგრებს. ახალწვეულთა შორის შარშან „კოლხეთში" ნათამაშევი რომან ახალკაციც გახლავთ. ამ ფეხბურთელის ტრანსფერს ფოთელები თავიდან კი ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ კლუბებმა მაინც მოახერხეს შეთანხმება და გორელი ნახევარმცველი, ფაქტობრივად, ჩარიცხულიცაა „ტორპედოში". ტორპედოელებთან ერთად გადის წვრთნას პირველლიგელი „ცხინვალის" თავდამსხმელი პაატა გვირჯიშვილი. შემოდგომაზე პაატა მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა და ამიტომაც მიიპყრო „ტორპედოს" მესვეურთა ყურადღება. ვნახოთ, იქნებ ამ ბიჭსაც უწერია გატორპედოელება. ნახევარმცველი შოთა ბაბუნაშვილი „ტორპედოს" აქამდე წყალტუბოს „სამგურალში" ჰყავდა განათხოვრებული და არ არის გამორიცხული, უკანვე იხმოს. ყოველ შემთხვევაში, შოთას შანსი მიეცა. ყოფილი ტორპედოელის ნოდარ ჭელიძის ვაჟი — ლაშა ერთადერთი ახალბედაა „ტორპედოში" დღესდღეობით მოვარჯიშეთაგან. პერსპექტიული ბიჭი ჩანს.

სიახლეებს „ტორპედოში" კიდევ უნდა ველოდოთ. ერთი სიახლე ისიც იქნება, რომ გუნდის თავკაცობა რამდენიმე დღეში 32-კაციან ჯგუფს მესამედით მაინც შეათხელებს და იმ მოთამაშეთა ვინაობასაც გვამცნობს, რომლებსაც 18 იანვარს მოსკოვში მოუწევთ გამგზავრება. როგორც იცით, „ტორპედო" რუსეთის დედაქალაქში თანამეგობრობის ქვეყნების თასის მეცხრე გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

მოსკოვში გამგზავრებამდე ქუთაისელები საკონტროლო მატჩის გამართვასაც აპირებენ. 15 იანვარს „ტორპედო" გრიგოლეთში „კოლხეთს" დაუპირისპირდება.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# ხიზანიშვილის წყვილი ვესტ ჰემისთვის

**ორ დღეში** თვე გახდება, რაც თბილისის „ლოკომოტივის" და საქართველოს ნარების 19 წლის მცველი ზურაბ ხიზანიშვილი ლონდონურ კლუბ „ვესტ ჰემში" ვარჯიშობს.

— კვირაზე მეტს გასინჯვაზე არავის აჩერებენ, მე კი თვე სრულდება, შინ არ მიშვებენ. ჩანს, ლონდონელებს ჩემი დატოვება სურთ — გვითხრა გუშინ ხიზანიშვილმა, ინგლისში ტელეფონით რომ დავუკავშირდით.

— ვფიქრობ, ინგლისელები ფიფას პასუხს ელოდებიან და მისი მიღების შემდეგ, როცა ჩემი სტატუსი თუ ფასი განისაზღვრება, ალბათ კონტრაქტის პირობებზეც ჩამომიგდებენ სიტყვას.

— კიდევ ერთ მატჩში გითამაშია.

— „ბრედფორდთან" სათადარიგო გუნდის შეხვედრა 3:3 მორჩა. „ვესტ ჰემის" ძირითადიდან იან პირსი, შტიმაცი და ჯო კოული თამაშობდნენ. მეტოქესაც შერეული შემადგენლობა ჰყავდა და თამაში ძალიან საინტერესო გამოვიდა.

— როგორ ითამაშე?

— ვფიქრობ, ცუდად არა. თამაშამდე მკითხეს, ნახევარდაცვის ცენტრში ხომ არ გირჩევნია თამაშიო და ჩემი პასუხი რომ მოისმინეს ჩვეულ პოზიციაზე გამამწესეს. მეორე და მესამე გოლი „ვესტ ჰემმა" ჩემი პასებით გაიტანა. მგონი, ჩემი თამაშით უკმაყოფილონი არც სხვები დარჩნენ.

**ვახტანგ მჭედლიძე**

# მერანს გაბელია გახედნის

**საშემოდგომო** ეტაპი დამთავრებული არ იყო, როცა „მერანს" მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაია ჩამოშორდა და გუნდის გაწვრთნა მის ასისტენტ დავით ჯიშკარიანს გადააბარეს. ამიერიდან კი „მერანს" საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარეთა მწვრთნელი ოთარ გაბელია უთავკაცებს. მას ადრეც გაუწვრთნია ეროვნული ჩემპიონატის გუნდები — გურჯაანის „ალაზანის", ზუგდიდის „ოდიშის" და თსუ-ს შემდეგ გაბელიას მეთორმეტე ეროვნულში მეექვსე ადგილზე მყოფი გუნდის მესაჭეობა მოუწევს.

„მერანს" მეტად ნაყოფიერი მოსამზადებელი ეტაპის გავლა განუზრახავს. 15 იანვარს იგი თორმეტდღიან შეკრებაზე ბაკურიანში გაემგზავრება. მერე გუნდი თბილისში დაბრუნდება, რამდენიმე დღით შეყოვნდება და უკვე ქობულეთში გააგრძელებს საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას. სეზონის განახლების წინ კი კლუბის ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს, გუნდს უცხოეთშიც მოუწყოს შეკრება, სავარაუდოდ თურქეთში ან კვიპროსზე.

საკადრო პოლიტიკა ფეხბურთელებსაც შეეხებათ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „მერანის" ღირსებას ქუთაისის „ტორპედოდან" წამოსული გიალო ჩხაიძე დაიცავს. 15 იანვრამდე შეუერთდება „მერანს" ანდრეი მუხინი, ხოლო მიკოლა პოდლესნი ალბათ იქ აღარ ითამაშებს, თუმც საბოლოოდ არც მისი საკითხია გაცხადებული. სამაგიეროდ, კლუბის ხელმძღვანელობა კიდევ ერთი უკრაინელი ლეგიონერის მიწვევას აპირებს. გუნდს ბაკურიანში ვერ გაჰყვება მიხეილ ფოცხვერია, რომელმაც დეკემბერში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და სარეაბილიტაციო პერიოდი ვარჯიშის საშუალებას ჯერ არ აძლევს.

როგორც ოთარ გაბელიამ გვითხრა, „მერანის" ხელმძღვანელობის სურვილია, რომ გუნდი ექვსეულიდან არ ჩამოქვეითდეს, თუმც ახალი მთავარი მწვრთნელისთვის ასეთი კატეგორიული მოთხოვნა არ წაუყენებიათ. „მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად „მერანი" ჯერ მზად არ არის. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი კარგი გუნდის ჩამოყალიბებაა" — მოკლედ მოგვიჭრა ოთარ გაბელიამ.

**დავით თაბართქილაძე**



# მინილაშქრობები



ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოთამაშე გიორგი ანჩაბაძე (მარცხნივ)

**მეოცე** საუკუნის ბოლო ამბავია, რასაც საგანგებოდ ახლა გაუწყებთ:

ნაძალადეველებმა მინი-ფეხბურთში ყველას აჯობეს, ბენდელას თასის მეცხრე გათამაშებაში ოქროს გოლით გაიმარჯვეს.

„ნაძალადევი" — „ჩემპიონის" ფინალური მატჩის ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა.

„ჩემპიონი" ზაზა ზამთარაძის გოლით დაწინაურდა, საპასუხო ბურთი გოჩა ჯამარაულმა გაიტანა, რომელიც მხოლოდ დასკვნითი შეხვედრისთვის დაემატა „ნაძალადევს". ოქროს გოლი კი გურამ მეტრეველმა მიითვალა, რაშიც „ციურიხის" ქართველსაც მიუძღვის წვლილი.

მესამე ადგილისთვის მოპაექრე გუნდების მატჩი უხვგოლიანი და ულაზათო გამოდგა — „ლოკომოტივი" ღირსეულად არ შეებრძოლა „თბილისს" და პირველლიგელმა აუტსაიდერმაც 8:1 მოუგო რკინიგზელებს.

ტურნირის ლაურეატებზეც მოგახსენებთ.

საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა და რვა გატანილ გოლით ბომბარდირობა არავის დაუთმო დავით მუჯირმა („ჩემპიონი");

საუკეთესო მეკარედ ზვიად კუპატაძე („თბილისი") მიიჩნიეს, მცველად — შალვა ხუჯაძე („ჩემპიონი"), თავდამსხმელად — გოგა მოსულიშვილი („ნაძალადევი").

ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად გიორგი ანჩაბაძე აღიარეს, საუკეთესო მწვრთნელად კი ტურნირის გამარჯვებული გუნდის თავკაცი ვასილ მაისურაძე.

**დავით თავართქილაძე**

# გიორგი მეორე ბუნდესლიგაში



გიორგი დეკანოსიძე

**XXI საუკუნის** დასაწყისში, საახალწლო-საშობაო არდადეგებისას, ვიცე-ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" ახალგაზრდა, ნიჭიერ და იმედისმომცემ ნახევარმცველს შეელია.

საქართველოს თექვსმეტ და თვრამეტწლამდელთა ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ახალგაზრდული გუნდის წევრი გიორგი დეკანოსიძე, ალბათ, რამდენიმე დღეში ოფიციალურად გახდება ლეგიონერი.

დეკანოსიძეს „ვიტ ჯორჯიასთან" სამწლიანი ხელშეკრულება აკავშირებდა. თსუ-დან ვეტერინარულ კლუბში გადაბარგებულმა ხუთი თვის მანძილზე სამი მწვრთნელის სერგო კოტრიკაძის, ვლადიმერ ხაჩიძისა და თემურ მახარაძის ხელმძღვანელობით თამაშიც მოასწრო.

კლუბისა და გუნდის თავკაცებს მისი ძალიან ეიმედებოდათ, მაგრამ ფეხბურთელს სურდა, კარიერა უცხოეთში გაეგრძელებინა და ხელი არ შეუშალეს.

ზოგჯერ ასეც ხდება, საქართველოში ზოგი კლუბი თავის მოთამაშეს ათასგვარ დაბრკოლებას შეუქმნის, ხელმოსაწერად გამზადებულ კონტრაქტს ჩაუშლის, ზოგიც წინსვლაში ეხმარება.

„ვიტ ჯორჯიამ" გიორგი დეკანოსიძე და გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „ფიურტი" ერთმანეთს დააკავშირა. ქართველი ნახევარმცველი უკვე გერმანიაშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

„ვიტ ჯორჯიასა" და „ფიურტის" წარმომადგენლები უახლოეს მომავალში მოილაპარაკებენ და...

8 იანვრის „კიკერში" ასეთ ფრაზას ამოიკითხავთ: „ფიურტი" ფულის დაბანდებას ორ ახალგაზრდა ფეხბურთელში აპირებს. ესენი საქართველოს ახალგაზრდული გუნდის მოთამაშე გიორგი დეკანოსიძე და 20 წლის ნახევარმცველი მარკუს რაიტერი არიან. ორივე 30 ივნისამდე დარჩება „ფიურტში", ამის შემდეგ კი ორწლიან კონტრაქტზე დაიწყება მოლაპარაკებები.

„ფიურტი" მეორე ბუნდესლიგაში 18 ტურის შემდეგ 29 ქულით მეექვსე ადგილზეა. მეორეადგილოსანი „ზანქტ პაული" და მესამეადგილოსანი „გლადბახი" ჩვენებურის გუნდს შესაბამისად ოთხი და ორი ქულით უსწრებენ. ბუნდესლიგაში სამი საუკეთესო აღზევდება, წინ კი მთელი მეორე წრეა. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. არ არის გამორიცხული, ბუნდესლიგაში კიდევ ერთი ქართველი ვიხილოთ.

გიორგი დეკანოსიძე მეორე ბუნდესლიგაში რიგით მეორე ქართველი იქნება. იქაურ „როიტლინგენში" ჩვენებური მიხეილ საჯაია ირიცხება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ბოლო დრომდე სულ სათადარიგო იყო, თუმც ეტყობა, მწვრთნელთა დაჯერება მაინც მოახერხა. ბოლო თამაშებში საჯაია „როიტლინგენის" ღირსებას იცავდა.

**გამუკა ძგანტალიანი**

# სიომინს ქართველი აოცებს

## ზაზა ჯანაშიას იტალიაში მოარჯულებენ

**-დროა,** ჯანაშიამ გადაწყვიტოს, რა უნდა. თუ სასწრაფოდ ფორმაში არ ჩადგება და ზედმეტ წონას არ მოიშორებს, იძულებული გავხდებით, დავითხოვოთ.

ორიოდ კვირის წინ მოსკოვური „ლოკომოტივის" ხელმძღვანელები და მთავარი მწვრთნელი იური სიომინი ქართველ თავდამსხმელს გუნდიდან მოკვეთით ემუქრებოდნენ. ვერ გეტყვით, ამ მუქარამ გაჭრა თუ ზაზას უმოქმედობა და სხვათა ჩრდილში ყოფნა მოსწყინდა, მაგრამ ფაქტი ერთია, ჩვენებური სერიოზულ ვარჯიშს შეუდგა.

იური სიომინმა ქართველი ლეგიონერი იტალიურ შეკრებაზე იახლა და იქ აღვრევინებს ოფლს. იმედია, ჯანაშია დაკარგულს მალე აღიდგენს და რუსეთის მორიგი ჩემპიონატის დაწყებამდე სრულ მზადყოფნაში იქნება.

„ლოკომოტივის" მეორე ქართველ ვლადიმერ კაკაშვილს კი კურიოზული სიტუაციებისთვის თავი ვერ დაუღწევია. იური სიომინს მოსწონს წესიერი, თავმდაბალი, ტექნიკური ქართველი მცველი, მაგრამ მის თავზე დატრიალებული ამბების შემდეგ გაოცებით შლის ხელებს, მეტი საშველიც არ არის.

კურიოზული იყო კაკაშვილის მოსკოვურ „ლოკომოტივში" გადასვლა. სიომინმა ხეირიანად დღესაც არ იცის, ვინ მოუგზავნა ქართველი მცველი.

მერე კაკაშვილის შეკრებაზე წაყვანა გადაწყვიტა. რუსეთის დედაქალაქში ახალჩასულ ქართველს გზა რომ არ დაბნეოდა, მწვრთნელმა ერთ-ერთ ლოკომოტიველს სთხოვა, გზად გამოუარე და აეროპორტში მოიყვანეო. თანაგუნდელს ჩვენებური სულ დაავიწყდა და დარჩა ლადო მოსკოვში.

ამ ამბიდან ერთი წელიწადი მიილია. „ლოკომოტივმა" სეზონი ჩაამთავრა თუ არა, კლუბის ხელმძღვანელებმა იტალიური შეკრებაც დაგეგმეს.

გუნდის ადმინისტრატორმა კაკაშვილსაც შეაგროვებინა იტალიის საელჩოში წარსადგენი საბუთები, რომელსაც, რა თქმა უნდა, თან საპასპორტო მონაცემებიც ერთვოდა. სიომინმა ყველაფერი წესრიგში დაიგულა და ლადო შვებულებით თბილისში ქამოისტუმრა. 3 იანვარს ელოდნენ კაკაშვილს მოსკოვში. ლადო ჩამოვიდა, ახლობელ-ნათესავები და მეგობრები მოინახულა და გაუთვალისწინებელი მოვლენების თავიდან ასაცილებლად მოსკოვს ნაადრევად, 28 დეკემბერს მიაშურა.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ კურიოზები ხომ კაკაშვილს მუდამ თან სდევს. თბილისში ყოფნისას ლადომ პასპორტი გამოიცვალა, აქაოდა, ძველს მალე ვადა გაუვაო. როგორც აღმოჩნდა, შეცდომაც მაშინ დაუშვა, მოსკოვში, იტალიის საელჩოში ხომ კაკაშვილის ძველი პასპორტის მონაცემები იყო წარდგენილი.

კაკაშვილი ლამის თვითმფრინავიდან გამობრუნდა „ლოკომოტივის" ბაზაზე. კიდევ ერთხელ გაოცდა სიომინი. მოკლედ მოჭრა, მოსკოვში ივარჯიშებ, მომავალ შეკრებებზე კი თავად მივადევნებ თვალს ყველაფერსო.

იმედია, ჩვენებური მესამე ცდაზე მაინც მოახერხებს, „ლოკომოტივს" შეკრებაზე გაჰყვეს.

**გამუკა ძგანტალიანი**

# დიდი ამაგი, დიდი სახელი

**დღეს მიხეილ მესხის დაბადების დღეა.**

**უიშვიათესმა და უგამორჩეულესმა ნიჭიერებამ მიხეილ მესხი განუმეორებელ ფეხბურთელად აქცია. მას აღმერთებდნენ საქართველოში და პატივს მიაგებდნენ უცხოეთში, იგი იყო ჭეშმარიტად სახალხო სპორტსმენი, რომლის სახელმაც არათუ მრავალ ყმაწვილს, მრავალ თაობას უხმო ფეხბურთში, აზიარა სპორტის სიკეთესა და მადლს. ამიტომაც არის, რომ ქართული სპორტის მუშაკნი მოწიწებით და მადლიერებით მოიხსენიებენ მის დიდ სახელს და ამაგს, მის ოჯახს, მის შთამომავლობას კი უსურვებენ დღეგრძელ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, გვარში ჩაბუდებული დიდი ნიჭის კიდევ ერთხელ გაბრწყინებას.**

***საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი***



მიხეილ მესხის მეურვეობა მცველებისთვის სასჯელის ტოლფასი იყო

# შორის კვირაში

## ინგლისი

### XXI ტური

**არსენალი 2:2 სანდერლენდი**

1:0 ვიეირა (5), 2:0 დიქსონი (40), 2:1 ფილიპსი (53პ), 2:2 მაკკენი (83)
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, სტეპანოვსი, ადამსი, სილვინიო, პირესი, ლიუნგბერგი, გრიმანდი, ვიეირა, ანრი (დანილევიჩუსი 79), კანუ (პარლოუ 69)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, ვარგა, კრადოკი, პათჩისონი, შვარცი, რაე, მაკკენი, ფილიპსი, ნ. ქუინი (დიჩიო 56)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: მაკინი, დიჩიო, რაე
38 026 მაყურებელი

**იფსვიჩი 3:0 ტოტენჰემი**

1:0 სტიუარტი (9), 2:0 არმსტრონგი (62), 3:0 კლაპამი (88)
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი (მაკგრილი 82), ვენუსი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, ჯ. რაიტი, მოუკროფტი, ა. არმსტრონგი (დ. ჯონსონი 81), ბრემბლი, მ. სტიუარტი (კლაპამი 85), როიზერი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ტოტენჰემი: სალივანი, ს. კემპბელი, პერი, ტელველი, შერვუდი (დევისი 80), ანდერტონი, კორსტენი (რებროვი 80), ლეონარდსენი, კლემენსი, კინგი, დოჰერთი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
22 234 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 1:4 ჩარლტონი**

0:1, 0:2 იოჰანსონი (26, 37), 0:3 სტიუარტი (79პ), 0:4 იენსენი (89), 1:4 ჰაკერბი (90პ)
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ჰაალანდი, ტიატო, ჰაუი, ზარვე (ჰაკერბი 40), დანი, ვიკესი, ჰორლოკი (ბიშოპი 28), რაიტ-ფილიპსი, დიკოვი (გრენვილი 57), გოტერი
მწვრთნელი: ჯო როილი
ჩარლტონი: კილი, კონჩესკი, რუფუსი, ფიში, ტოდი, კიშიშევი, პარკერი (ჯ. რობინსონი 72), იენსენი, იოჰანსონი (ს. ბრაუნი 83), გ. სტიუარტი, ბარტლეტი (პრინგლი 72)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: დიკოვი, რუფუსი, სტიუარტი
33 280 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 ქოვენთრი**

0:1 ველანი (41ს.კ.), 1:1 ბოკშიჩი (86)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, კარამბუ (ბოკშიჩი 46), იისი, ონილი, ოკონი, ეჰიოგუ, რიკარდი, ველანი (დინი 66), კუპერი (ვიკერსი 46)
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
ქოვენთრი: კირკლენდი, ედვორთი, პ. უილიამსი, ტომპსონი, ჰაჯი, ზუნიგა (ალოიზი 64), ტელფერი, ბრინი, ბელამი (ჩიპო 77), ბ. ქუინი, კარსლი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: კუპერი, ტომპსონი, ბელამი
30 499 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:1 მანჩესტერი**

0:1 ბექემი (25პ), 1:1 გლასი (81)
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, გრიფინი, გომა, ა. ჰიუზი, სოლანო, ბასედასი (ლუა ლუა 75), აკუნია (გლასი 74), სპიდი, დაიერი, ამეობი (კორდონე 75)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, სილვესტრი (უოლვორკი 62), გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, ბექემი, ბატი (ჩედვიკი 89), როი კინი, გიგზი, იორკი, სოლსკიაერი (სქოულზი 70)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: გომა, ბასედასი, ბრაუნი, სილვესტრი, გიგზი
52 134 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:0 დერბი ქაუნთი**

1:0 ბიტი (73)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, ელ ხალეჯი, ბრიჯი, ოკლი, კაჩლოული, ტესემი, დევისი, ბიტი, პახარსი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
დერბი ქაუნთი: პოომი, მავენი, ჰიგინბოთემი, რიგოტი, ვესტი, დელაპი, ბარლი, ერანიო (ძინძლაძე 64), ს. ჯონსონი, დ. ბარტონი, კრისტი (სტარიჯი 65)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ჯონსონი, ბარლი
15 075 მაყურებელი

ასტონ ვილა — ლესტერი
ბრედფორდი — ლივერპული
ევერტონი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ჩელსი
გადაიდო

### XXII ტური

**ტოტენჰემი 4:2 ნიუკასლი**

0:1 სოლანო (23), 1:1 დოჰერთი (27), 2:1 ანდერტონი (30პ), 3:1 რებროვი (35), 3:2 დაიერი (49პ), 4:2 ფერდინანდი (77)
ტოტენჰემი: სალივანი, ს. კემპბელი, პერი, ანდერტონი (იანგი 82), შერვუდი, ლეონარდსენი (ი. უოქერი 48), კლემენსი, კინგი, ლ. ფერდინანდი, რებროვი, დოჰერთი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, გომა, გრიფინი (გლასი 69), ა. ჰიუზი, ბასედასი, სპიდი, აკუნია, სოლანო, დაიერი, ამეობი (ლუა ლუა 69)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: ბასედასი, გომა
გაძევება: სოლანო (32), სალივანი (47), დაიერი (63)
34 324 მაყურებელი

**ჩარლტონი 1:0 არსენალი**

1:0 იოჰანსონი (39)
ჩარლტონი: კილი, კიშიშევი, რუფუსი, ტოდი, ფიში, კონჩესკი, გ. სტიუარტი (კ. პაუელი 88), პარკერი (ჯ. რობინსონი 79), იენსენი, ბარტლეტი (პრინგლი 80), იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, სილვინიო (ეშლი კოული 64), სტეპანოვსი, გრიმანდი (მალცი 73), ვივასი, ვიეირა, პარლოუ, ლიუნგბერგი, პირესი (დანილევიჩუსი 64), კანუ
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სტიუარტი, პარლოუ
20 043 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 ასტონ ვილა**

1:0 ჰასელბაინკი (45)
ჩელსი: კუდიჩინი, ლებეფი, ტერი, მელხიოტი, ჰარლი (უაიზი 89), პოიეტი, იოკანოვიჩი, ჯ. მორისი, დალა ბონა, გუდიონსენი (ფერერი 87), ჰასელბაინკი (ძოლა 79)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, დილანი, ა. რაიტი, საუთგეიტი, სტონტონი, ბოატენგი, მერსონი, ს. სტოუნი, ტეილორი, დაბლინი (ვასელი 76), დე ბილდე
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ტეილორი
33 159 მაყურებელი

**ქოვენთრი 1:1 მანჩესტერ სიტი**

0:1 ვანჩოპე (54), 1:1 ედვორთი (72)
ქოვენთრი: კირკლენდი, ედვორთი, ბრინი, პ. უილიამსი, ბ. ქუინი (ოსტიჩი 64), ტომპსონი, კარსლი, ტელფერი, ბელამი (ჩიპო 73), ზუნიგა (ალოიზი 57), ჰაჯი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მანჩესტერ სიტი: ვივერი, დანი, მორისონი, ჰაუი, ედჯილი, ბიშოპი (რაიტ-ფილიპსი 81), ჰაალანდი, ტიატო, გრენვილი, ვანჩოპე, ჰაკერბი (გოტერი 79)
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: ქუინი, ჰაკერბი, ტიატო
21 999 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი 1:0 ევერტონი**

1:0 ბარტონი (20)
დერბი ქაუნთი: პოომი, რიგოტი, კარბონარი, ვესტი, დელაპი, ჰიგინბოთემი, ერანიო (ძინძლაძე 68), ბარლი (მიურეი 41), ს. ჯონსონი, კრისტი, დ. ბარტონი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ევერტონი: მირე, უოტსონი, ვეირი, ბოლი, ნესმიტი, ჯემილი, გრავესენი (მური 46), პემბრიჯი, ნიარკო (ანსუორთი 46), დ. ფერგიუსონი, ალექსანდერსონი (ტალი 79)
გაფრთხილება: კარბონარი, ვესტი, გრავესენი, ნიარკო, ვეირი
27 358 მაყურებელი

**ლიდსი 1:1 მიდლსბრო**

0:1 ბოკშიჩი (27), 1:1 კინი (55პ)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, რადებე, რ. ფერდინანდი, მატეო, ბოიერი, დაკური, ბეტი, უოლკოქსი, რობი კინი (ა. სმიტი 75), ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მიდლსბრო: შვარცერი, ეჰიოგუ, ფესტა, ვიკერსი, ფლემინგი, მასტო, ოკონი, კარამბუ (სტამპი 66), გორდონი, ბოკშიჩი (დინი 90), რიკარდი (ველანი 81)
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: ბოიერი, დაკური, გორდონი, ოკონი, რიკარდი
39 251 მაყურებელი

**ლესტერი 1:2 ბრედფორდი**

0:1 ჯესი (25), 0:2 ჯაკობსი (30), 1:2 იზეტი (38პ)
ლესტერი: ფლაუერსი (როისი 46), როუეტი, მ. ელიოტი, ჯილკრისტი, იმპი, იდი (გაპი 46), სევიჯი, გ. ჯოუნსი (ბენჯამინი 60), იზეტი, გუნლაუგსონი, აკინბი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ბრედფორდი: გ. უოლში, აზერტონი (მიერსი 74), მოლენაარი, ობრაიენი, ჯაკობსი, მაკკოლი, მაკკოლი, ჯესი, ბლეიქი (კოლიმორი 85), სონდერსი (რანკინი 87), უინდასი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
გაფრთხილება: ჯაკობსი, უინდასი, მაკკინლი
19 278 მაყურებელი

**ლივერპული 2:1 საუთჰემპტონი**

1:0 ჯერარდი (12), 1:1 სოლტვედტი (20), 2:1 ბაბელი (86)
ლივერპული: ვესტერველდი, ენჩოსი, ბაბელი, ჰიპია, კარაგერი, მაკალისტერი, ბარმბი (მერფი 52), ჯერარდი, შმიცერი (ოუენი 72), ჰესკი (ბისკანი 78), ფაულერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, ბრიჯი, ელ ხალეჯი, ოკლი, ტესემი (როსლერი 90), სოლტვედტი, პახარსი (კაჩლოული 82), ბიტი, დევისი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: როსლერი
38 474 მაყურებელი

**მანჩესტერი 3:1 ვესტ ჰემი**

1:0 სოლსკიაერი (3), 2:0 პირსი (33ს.კ.), 3:0 იორკი (58), 3:1 კანო (72)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ფ. ნევილი, ვ. ბრაუნი, სილვესტრი, ბექემი, როი კინი (უოლვორკი 62), სქოულზი (ბატი 80), სოლსკიაერი, იორკი, გიგზი (გრინინგი 61)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, სონგი, უინტერბერნი, ტ. სინკლერი, კარიკი, ლომასი, მონკუ (ტიჰინენი 46), ლამპარდი, კანო, კამარა (ჯ. კოული 46)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ბრაუნი, პირსი, კამარა
67 603 მაყურებელი

**სანდერლენდი 4:1 იფსვიჩი**

0:1 სტიუარტი (5), 1:1 არკა (25), 2:1 ფილიპსი (57), 3:1 დიჩიო (63), 4:1 შვარცი (88)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, კრადოკი (ვარგა 70), ტომე, პათჩისონი, მაკკენი (დ. უილიამსი 68), რაე, არკა (შვარცი 74), დიჩიო, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი (მაკგრილი 82), ბრემბლი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, კლაპამი (როიზერი 58), ჰოლანდი, ჯ. რაიტი, მოუკროფტი, მ. სტიუარტი, ა. არმსტრონგი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: კრადოკი, სტიუარტი, ბრემბლი, უილნისი, ვენუსი, ჰრეიდარსონი
46 053 მაყურებელი

**სამობაო** კვირის თამაშებში, ანუ იმ დროს, როცა ინგლისურ ლიგებში სულმოუთქმელი შეჯიბრი მიმდინარეობს და გუნდებს სულის მოსათქმელად თითო დღე თუ აქვთ, პრემიერლიგის ლიდერი, რა თქმა უნდა, არ შეცვლილა. „მანჩესტერ იუნაიტედი" ცხრილის პირველ საფეხურზე დარჩა და თუმცა იმ დღეებში ქულებიც დაკარგა, მის უპირველეს მდევარს, ლონდონის „არსენალს" საახალწლოდ დიდი ხიფათი შეემთხვა: ჯერ იყო და „ჰაიბერიზე" „სანდერლენდმა" შემოუტრიალა „მეთოფეთაგან" ლამის უკვე მოგებული თამაში და 2:2 დაუმთავრა. ორი დღის თავზე, კი „არსენალმა" ჩარლტონში წააგო. ამ წარუმატებლობათა კვალად, „სანდერლენდმა" საშობაო კვირის ზიგზაგებით გამვლელი „ლესტერი", „იფსვიჩი" და „ლივერპული" შეავიწროვა და „არსენალს" ქულებით წამოეწია.

იმავ კვირაში რამდენიმე თამაში გადაიდო, რაც უამინდობის, კერძოდ კი დიდთოვლობის ბრალი იყო. ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკი" ლამის ერთადერთი მინდორი გამოდგა თოვლისგან რომ ღირსეულად გაეწმინდათ და ზედ დიდებული თამაშიც გახურდა. მასპინძლებმა თამაშის მიწურულს გამოგლიჯეს ქულა „მანჩესტერს". ჯორდების მენეჯერ ბობი რობსონს სამივე შემცვლელმა გაუმართლა: საგოლე კომბინაცია მოედანზე ახალშემოსულმა მოთამაშეებმა გაახერხეს.

კვლავაც წელში ვერ გაიმართა „ლიდსი", რომელსაც რობი კინი კი დაემატა, მაგრამ ამან გამარჯვება ვერ მოუტანა საშობაო დღეებში. საერთოდ კი, ამ გიჟურ კვირეულში უდანაკარგო მხოლოდ „ჩარლტონ ატლეტიკი" იყო.

### ლიგის თასი

ნახევარფინალი. I მატჩები

**კრისტალ პალასი 2:1 ლივერპული**

1:0 რუბინსი (56), 2:0 მორისონი (77), 2:1 შმიცერი (78)

**იფსვიჩი 1:0 ბირმინგემი**

1:0 მ. სტიუარტი (45პ)

### ასოციაციის თასი

ოცდამეთორმეტედფინალი

ბრედფორდი — მიდლსბრო 0:1; ფულემი (I) — მანჩესტერ იუნაიტედი 1:2; ნიუკასლ იუნაიტედი — ასტონ ვილა 1:1; ნოტინგემ ფორესტი (I) — ვულვერჰემპტონი (I) 0:1; ბლეკბერნ როვერსი (I) — ჩესტერი (მოყვ.) 2:0; ბოლტონი (I) — იოვილი (მოყვ.) 2:1; ბორნმუთი (II) — ჯილინგემი (I) 2:3; ბარნლი (I) — სკანთორპი (III) 2:2; კარდიფი (III) — ქრიუ (I) 1:1; კარლაილი (III) — არსენალი 0:1; ჩარლტონი — დაგენჰემი (მოყვ.) 1:1; ჩელსი — პიტერბრო (II) 5:0; დერბი ქაუნთი — ვესტ ბრომვიჩი (I) 3:2; ჰადერსფილდი (I) — ბრისტოლ სიტი (II) 0:2; ლიდს იუნაიტედი — ბარნსლი (I) 1:0; ლესტერი — იორკი (III) 3:0; ლეიტონ ორიენტი (III) — ტოტენჰემ ჰოთსპური 0:1; ლივერპული — როტერჰემი (II) 3:0; ლუტონი (II) — ქუინზ პარკ რეინჯერსი (I) 3:3; მანჩესტერ სიტი — ბირმინგემი (I) 3:2; მორეკემბი (მოყვ.) — იფსვიჩ თაუნი 0:3; პორტსმუთი (I) — ტრანმერი (I) 1:2; პრესტონი (I) — სტოკპორტი (I) 0:1; შეფილდ უენსდი (I) — ნორვიჩი (I) 2:1; საუთჰემპტონი — შეფილდ იუნაიტედი (I) 1:0; საუთენდი (III) — კინგსტონიანი (მოყვ.) 0:1; სანდერლენდი — კრისტალ პალასი (I) 0:1; სუინდონი (II) — ქოვენთრი 0:2; უოლსოლი (II) — ვესტ ჰემი 2:3; უოტფორდი (I) — ევერტონი 1:2; უიმბლდონი (I) — ნოთს ქაუნთი (II) 2:2; უიკომბი (II) — გრიმსბი (I) 1:1

გადათამაშება

16 იანვარს: სკანთორპი — ბარნლი; ქრიუ — კარდიფი; ნოთს ქაუნთი — უიმბლდონი; გრიმსბი — უიკომბი
17 იანვარს: დაგენჰემი — ჩარლტონი; ქუინზ პარკ რეინჯერსი — ლუტონი; კრისტალ პალასი — სანდერლენდი; ასტონ ვილა — ნიუკასლ იუნაიტედი

მეთექვსმეტედფინალის წილისყრა

კრისტალ პალასი ან სანდერლენდი — იფსვიჩ თაუნი; ჯილინგემი — ჩელსი; მიდლსბრო — ნოთს ქაუნთი ან უიმბლდონი; ბრისტოლ სიტი — კინგსტონიანი; ბოლტონი — სკანთორპი ან ბარნლი; ბლეკბერნ როვერსი — დერბი ქაუნთი; მანჩესტერ სიტი — ქოვენთრი; ქრიუ ან კარდიფი — სტოკპორტი; საუთჰემპტონი — შეფილდ უენსდი; გრიმსბი ან უიკომბი — ვულვერჰემპტონი; დაგენჰემი ან ჩარლტონი — ტოტენჰემ ჰოთსპური; ლიდს იუნაიტედი — ლივერპული; მანჩესტერ იუნაიტედი — ვესტ ჰემი; ევერტონი — ტრანმერი; ქუინზ პარკ რეინჯერსი ან ლუტონი — არსენალი; ასტონ ვილა ან ნიუკასლ იუნაიტედი — ლესტერი

მატჩები გაიმართება 27-28 იანვარს

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 14 |
| ანრი (არსენალი) | 13 |
| იოჰანსონი (ჩარლტონი) | 13 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 13 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 12 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 12 |

### XXIII ტური

13 იანვარი

არსენალი — ჩელსი
ასტონ ვილა — ლივერპული
ბრედფორდი — მანჩესტერი
ევერტონი — ტოტენჰემი
სიტი — ლიდსი
მიდლსბრო — დერბი ქაუნთი
ნიუკასლი — ქოვენთრი
საუთჰემპტონი — ჩარლტონი
ვესტ ჰემი — სანდერლენდი

14 იანვარი

იფსვიჩი — ლესტერი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 22 | 15 | 5 | 2 | 51:16 | 35 | 50 | 11 | 9 | 1 | 1 | 31:6 | 25 | 28 | 11 | 6 | 4 | 1 | 20:10 | 10 | 22 |
| 2 არსენალი | 22 | 11 | 6 | 5 | 38:22 | 16 | 39 | 11 | 9 | 2 | 0 | 30:7 | 23 | 29 | 11 | 2 | 4 | 5 | 8:15 | -7 | 10 |
| 3 სანდერლენდი | 22 | 11 | 6 | 5 | 29:22 | 7 | 39 | 11 | 8 | 3 | 0 | 16:5 | 11 | 27 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:17 | -4 | 12 |
| 4 იფსვიჩი | 22 | 11 | 4 | 7 | 33:26 | 7 | 37 | 11 | 5 | 4 | 2 | 17:10 | 7 | 19 | 11 | 6 | 0 | 5 | 16:16 | 0 | 18 |
| 5 ლივერპული | 21 | 11 | 3 | 7 | 39:26 | 13 | 36 | 11 | 9 | 1 | 1 | 25:8 | 17 | 28 | 10 | 2 | 2 | 6 | 14:18 | -4 | 8 |
| 6 ლესტერი | 21 | 10 | 5 | 6 | 24:23 | 1 | 35 | 11 | 6 | 3 | 2 | 16:12 | 4 | 21 | 10 | 4 | 2 | 4 | 8:11 | -3 | 14 |
| 7 ნიუკასლი | 22 | 9 | 4 | 9 | 25:30 | -5 | 31 | 11 | 6 | 2 | 3 | 15:11 | 4 | 20 | 11 | 3 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 11 |
| 8 ჩელსი | 21 | 8 | 6 | 7 | 38:27 | 11 | 30 | 11 | 8 | 2 | 1 | 29:10 | 19 | 26 | 10 | 0 | 4 | 6 | 9:17 | -8 | 4 |
| 9 ვესტ ჰემი | 21 | 7 | 8 | 6 | 31:24 | 7 | 29 | 10 | 4 | 4 | 2 | 17:9 | 8 | 16 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | -1 | 13 |
| 10 ასტონ ვილა | 20 | 7 | 8 | 5 | 23:19 | 4 | 29 | 9 | 4 | 4 | 1 | 14:7 | 7 | 16 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:12 | -3 | 13 |
| 11 ტოტენჰემი | 22 | 8 | 5 | 9 | 30:34 | -4 | 29 | 11 | 8 | 3 | 0 | 22:9 | 13 | 27 | 11 | 0 | 2 | 9 | 8:25 | -17 | 2 |
| 12 ჩარლტონი | 22 | 8 | 5 | 9 | 31:37 | -6 | 29 | 11 | 6 | 4 | 1 | 18:8 | 10 | 22 | 11 | 2 | 1 | 8 | 13:29 | -16 | 7 |
| 13 საუთჰემპტონი | 22 | 7 | 6 | 9 | 28:34 | -6 | 27 | 11 | 6 | 1 | 4 | 18:15 | 3 | 19 | 11 | 1 | 5 | 5 | 10:19 | -9 | 8 |
| 14 ლიდსი | 20 | 7 | 5 | 8 | 27:28 | -1 | 26 | 11 | 6 | 1 | 4 | 20:15 | 5 | 19 | 9 | 1 | 4 | 4 | 7:13 | -6 | 7 |
| 15 ევერტონი | 21 | 6 | 5 | 10 | 22:33 | -11 | 23 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 12 | 11 | 3 | 2 | 6 | 9:19 | -10 | 11 |
| 16 დერბი ქაუნთი | 22 | 5 | 8 | 9 | 24:36 | -12 | 23 | 11 | 4 | 5 | 2 | 14:15 | -1 | 17 | 11 | 1 | 3 | 7 | 10:21 | -11 | 6 |
| 17 ქოვენთრი | 22 | 5 | 6 | 11 | 21:37 | -16 | 21 | 11 | 2 | 4 | 5 | 8:15 | -7 | 10 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:22 | -9 | 11 |
| 18 მიდლსბრო | 22 | 4 | 8 | 10 | 23:30 | -7 | 20 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:16 | -6 | 10 | 11 | 2 | 4 | 5 | 13:14 | -1 | 10 |
| 19 სიტი | 22 | 5 | 5 | 12 | 27:38 | -11 | 20 | 11 | 3 | 2 | 6 | 16:15 | 1 | 11 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:23 | -12 | 9 |
| 20 ბრედფორდი | 21 | 3 | 6 | 12 | 16:38 | -22 | 15 | 10 | 2 | 4 | 4 | 10:14 | -4 | 10 | 11 | 1 | 2 | 8 | 6:24 | -18 | 5 |

## პირველი დივიზიონი

### XXVI ტური

**ვულვერჰემპტონი 3:2 სტოკპორტი**

1:0 პრუდლოკი (22), 2:0 ვისი (32ს.კ.), 3:0 ბრენჩი (45), 3:1 ნიკოლსონი (45პ), 3:2 ვისი (90)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, რობინსონი, პოლეტი, ბრენჩი, ნდა (კამარა 90), ლესკოტი, ენდრიუსი, დინინგი (ოსბორნი 86), პრუდლოკი
მწვრთნელი: გარი ჯონსი
16 667 მაყურებელი

**ბარნსლი 0:1 უოტფორდი**

0:1 ნილსენი (56)

**შეფილდ იუნაიტედი 3:2 პრესტონი**

0:1 შეილი (4), 0:2 რანკინი (20), 1:2 ფორდი (30პ), 2:2 კელი (70), 3:2 ტომასი (80)

**ქუინზ პარკი 1:1 კრისტალ პალასი**

1:0 კრუჩი (14), 1:1 მორისონი (59)

**ნოტინგემი 0:0 ნორვიჩი**

**ჰადერსფილდი 0:0 შეფილდ უენსდი**

**ბლეკბერნი 1:0 ქრიუ**

1:0 იანსენი (67)

**ბოლტონი 0:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 რობერტსი (45)

ფულემი — ბირმინგემი; ჯილინგემი — ტრანმერი; გრიმსბი — პორტსმუთი; უიმბლდონი — ბარნლი გადაიდო

### XXVII ტური

**ბარნლი 1:2 ვულვერჰემპტონი**

1:0 ბრენჩი (9), 1:1 პრუდლოკი (28), 1:2 ნეილორი (85)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, პოლეტი (გრინი 65), რობინსონი (ემბლენი 88), ბრენჩი, ენდრიუსი, პრუდლოკი, დინინგი, ნდა (კამარა 80), ლესკოტი
მწვრთნელი: გარი ჯონსი
15 483 მაყურებელი

**უოტფორდი 3:1 უიმბლდონი**

0:1 გეილი (11), 1:1, 2:1 მუნი (12, 20), 3:1 ნოელ-უილიამსი (36)

**ბირმინგემი 0:2 ნოტინგემი**

0:1 ბარტ-უილიამსი (71პ), 0:2 ბრატონი (86)

**ნორვიჩი 1:1 ბლეკბერნი**

1:0 ფორბისი (32), 1:1 ბენტი (64)

**პორტსმუთი 0:0 ჯილინგემი**

**პრესტონი 0:2 ბოლტონი**

0:1 ფარელი (8), 0:2 რიკეტსი (84)

**შეფილდ უენსდი 1:0 გრიმსბი**

1:0 სიბონი (67)

**სტოკპორტი 2:0 ფულემი**

1:0 ვისი (40), 2:0 კლარკი (47)

**ტრანმერი 1:0 შეფილდ იუნაიტედი**

1:0 პარკინსონი (11)

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ბარნსლი**

1:0 მორგანი (85ს.კ.)

ქრიუ — ქუინზ პარკი; კრისტალ პალასი — ჰადერსფილდი გადაიდო

### გადადებული მატჩი

**ბლეკბერნი 3:2 პრესტონი**

1:0 იანსენი (6), 2:0 ჰიუზი (9), 3:0 იანსენი (19), 3:1 მაკენი (54), 3:2 შეილი (73პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 25 | 19 | 4 | 2 | 60:19 | 61 |
| ბოლტონი | 27 | 16 | 6 | 5 | 44:23 | 54 |
| ბლეკბერნი | 27 | 15 | 7 | 5 | 43:28 | 52 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 15 | 5 | 7 | 37:29 | 50 |
| უოტფორდი | 25 | 14 | 4 | 7 | 46:33 | 46 |
| ნოტინგემი | 27 | 14 | 4 | 9 | 37:29 | 46 |
| ბირმინგემი | 25 | 13 | 5 | 7 | 34:25 | 44 |
| შეფილდ იუნ. | 27 | 12 | 7 | 8 | 30:26 | 43 |
| პრესტონი | 27 | 12 | 5 | 10 | 34:36 | 41 |
| ბარნლი | 25 | 11 | 5 | 9 | 26:29 | 38 |
| უიმბლდონი | 26 | 9 | 8 | 9 | 38:30 | 35 |
| ვულვზი | 27 | 8 | 8 | 11 | 28:31 | 32 |
| ჯილინგემი | 26 | 7 | 9 | 10 | 35:37 | 30 |
| პორტსმუთი | 26 | 6 | 12 | 8 | 26:30 | 30 |
| ბარნსლი | 27 | 8 | 6 | 13 | 27:36 | 30 |
| ნორვიჩი | 26 | 7 | 8 | 11 | 23:32 | 29 |
| კრისტალ პალასი | 26 | 7 | 7 | 12 | 36:42 | 28 |
| სტოკპორტი | 27 | 6 | 9 | 12 | 37:47 | 27 |
| გრიმსბი | 25 | 7 | 5 | 13 | 23:35 | 26 |
| ტრანმერი | 26 | 7 | 5 | 14 | 28:43 | 26 |
| უენსდი | 27 | 7 | 5 | 15 | 30:46 | 26 |
| ჰადერსფილდი | 26 | 6 | 7 | 13 | 27:34 | 25 |
| ქუინზ პარკი | 25 | 3 | 13 | 9 | 27:39 | 22 |
| ქრიუ | 26 | 6 | 4 | 16 | 19:36 | 22 |

## მეორე დივიზიონი

24-ე ტური: ლუტონი — უიგანი 0:2; მილუოლი — ნოთსი 2:3; ნორთჰემპტონი — უიკომბი 2:2; ოლდემი — უოლსოლი 0:0; სტოკი — ბრისტოლი 1:0
25-ე ტური: ბორნმუთი — ლუტონი 3:2; ბრენტფორდი — ოქსფორდი 3:0; ბრისტოლი — კემბრიჯი 6:2; ბერი — როტერჰემი 0:0; ნოთსი — სტოკი 2:2; პიტერბრო — ოლდემი 0:0; რედინგი — ნორთჰემპტონი 1:1; უოლსოლი — სუინდონი 1:0; უიგანი — რექსჰემი 0:0
26-ე ტური: ბრენტფორდი — ნორთჰემპტონი 1:1; ბერი — კემბრიჯი 0:1; პორტვეილი — ოლდემი 0:0; რედინგი — მილუოლი 3:4; უიგანი — სუონსი 2:0

## მესამე დივიზიონი

24-ე ტური: საუთენდი — ტორკი 1:1
25-ე ტური: ბრაიტონი — საუთენდი 0:2; კარდიფი — ექსეტერი 6:1; სკანთორპი — მაკლსფილდი 2:2; შრიუსბერი — ბარნეტი 3:2; ტორკი — კიდერმინსტერი 1:1
26-ე ტური: ჰალიფაქსი — კიდერმინსტერი 3:2; ჰარტლპული — ექსეტერი 2:0; ჰალი — მაკლსფილდი 0:0; მენსფილდი — პლიმუთი 0:0; დარლინგტონი — როჩდეილი 1:2; შრიუსბერი — ჩესტერფილდი 0:0; ტორკი — ჩელტენემი 1:2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იტალია

## XIII ტური

### მილანი 2:2 ინტერი

0:1 ჰაქან შუქური (11), 1:1 ბობანი (64), 1:2 დი ბიაჯო (72), 2:2 ბირჰოფი (85)
მილანი: აბიატი, შამოტი (კოსტაკურტა 46), როკე ჟუნიორი, მალდინი, ჰელვეგი, ამბროზინი (ჯუნტი 76), გატუზო, კოკო, ლეონარდო (ბობანი 46), შევჩენკო, ბირჰოფი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ინტერი: ფრეი, სიმიჩი, ბლანი, ჩირილო, ბროკი, იუგოვიჩი, დი ბიაჯო, ხ. ძანეტი, ზეედორფი (ფარინოსი 76), ვიერი, ჰაქან შუქური (რეკობა 68)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: ჰელვეგი, დი ბიაჯო, გატუზო
80 287 მაყურებელი

### იუვენტუსი 3:3 ფიორენტინა

0:1 კიეზა (4), 0:2 ნუნო გომეში (17), 1:2 კონტე (32), 2:2, 3:2 ინძაგი (48პ, 56), 3:3 კიეზა (63)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, პარამატი, იულიანო, ფერარა, პესოტო, კონტე (ბირინდელი 65), ტაკინარდი, ძამბროტა, ზიდანი (ონილი 85), ფ. ინძაგი, კოვაჩევიჩი (ტრეზეგე 64)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, რეპკა, პიერინი, ვანოლი, ბრეშანი (ტაროცი 85), კ. ამორუზო, დი ლივიო, რუი კოშტა, კიეზა (მიატოვიჩი 80), ნუნო გომეში (კოისი 65)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: ინძაგი, კიეზა, რეპკა, ამორუზო, ტოლდო
45 000 მაყურებელი

### ლაციო 1:2 ნაპოლი

0:1 ამორუზო (4), 0:2 პანკარო (37ს.კ.), 1:2 მიხაილოვიჩი (85პ)
ლაციო: პერუცი, პანკარო (კოლონეზე 50), ფერნანდუ კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი, ლომბარდო, დ. ბაჯო, ნედვედი, ვერონი (სიმეონე 60), კრესპო (ორლანდონი 45), სალასი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიქსონი
ნაპოლი: მანჩინი (მონდინი 84), ბალდინი, კიროგა, ტრონიზე, საბერი (მორიერო 62), პეკია, მაგონი, მატუზალემი (ჟეუზეპე ტედესკო 73), ბაჩინი, ნ. ამორუზო, ბელუჩი
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, ბალდინი
გაძევება: პერუცი (44)
50 000 მაყურებელი

# რომა კი იგებს და იგებს

### ატალანტა 0:2 რომა

0:1 დელვეკიო (1), 0:2 ტომაზი (41)
ატალანტა: პელიცოლი, კ. ძენონი, კარერა (ნაპი 75), სივილია, ბელინი (პინარდი 60), დ. ძენონი, ზაური, დონატი, დონი, ვენტოლა, განცი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
რომა: ლუპატელი, ალდაირი, სამუელი, ძაგო, კანდელა, კ. ძანეტი, ტომაზი, კაფუ, ტოტი, მონტელა (რინალდი 69), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ზაური, კანდელა, მონტელა, კარერა, დ. ძენონი, დონატი, განცი
გაძევება: ძანეტი (67)
26 000 მაყურებელი

### პერუჯა 3:1 უდინეზე

1:0 საუდატი (11), 1:1 სოტილი (35), 2:1 მატერაცი (38პ), 3:1 ტედესკო (90)
პერუჯა: მაცანტინი, პარიზი (მილანეზე 67), მატერაცი (გორეტი 87), დი ლორეტო, ზე მარია, ჯოვანი ტედესკო, ლივერანი, ბაიოკო, პიერი, ვრიზასი, საუდატი (ტატი 63)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
უდინეზე: ტურჩი (ბასო 46), გარგო, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო (ძამბონი 46), ჯანიკედა, ფიორე, ვალემი, მანფრედინი (გაარდე 75), იაკინტა, მარჯოტა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ტედესკო, მატერაცი, ვალემი, სოტილი
გაძევება: გარგო (37)
10 000 მაყურებელი

### პარმა 0:2 რეჯინა

0:1, 0:2 დიონიჯი (20, 53)
პარმა: ბუფონი, ფ. კანავარო, ტორიზი, ბენარივო, ფუზერი, ლამუში, ალმეიდა, მიკუ (აპია 89), სერჟიუ კონსეისაუ, მილოშევიჩი (მბომა 63), ამოროზო
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, სტოვინი, მეცანო, ვიკარი, მამედე, ბრევი, კოცა (ბოგდანი 77), მორაბიტო, დიონიჯი (ვარგასი 70), მარაზინა (და კოშტა 77)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ოშადოგანი, ლამუში, მამედე, კოცა, კანავარო, დიონიჯი, ვარგასი, ბენარივო
გაძევება: ტორიზი (88), ბრევი (88)
16 000 მაყურებელი

### ბოლონია 1:0 ბრეშა

1:0 ლოკატელი (33)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, კასტელინი, ბინოტო, ოლივე (პიაჩენტინი 90), ლიმა, ვომე, ლოკატელი (ბრიოსკი 56), ხულიო კრუზი (მარესკა 90), სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, დიანა, ე. ფილიპინი (გონსალესი 63), ბიზოლი, ილანა (კორეა 70), ბაკინი, თურქილმაზი, მარინო (მასიმილიანო ესპოზიტო 63)
მწვრთნელი: კარლ მაცონე
გაფრთხილება: ბონერა, ბია, ოლივე, ესპოზიტო, ბრიოსკი
გაძევება: ბინოტო (51), დიანა (57)
25 000 მაყურებელი

### ლეჩე 4:2 ვერონა

0:1 ბონაცოლი (23), 1:1 ოსორიო (54), 2:1, 3:1 ლუკარელი (61, 72), 4:1 ვუგრინეცი (74პ), 4:2 ადაილტონი (79პ)
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, ვიალი, სავინო, ფისორე (მატეო 46), ჯორჯეტი, კონტიკიო, ტონეტო, კოლონელო (ოსორიო 53), კ. ლუკარელი, ვუგრინეცი (მალუსკი 83)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ვერონა: ფერონი, ოდო, გონელა, აპოლონი, სერიჩი, სალვეტი, იტალიანო (კასეტი 72), მაცოლა, მელისი (კოსატო 80), ბონაცოლი (ჟილარდინო 77), ადაილტონი
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: ლუკარელი, იტალიანო, მატეო, მაცოლა
15 402 მაყურებელი

### ვიჩენცა 1:0 ბარი

1:0 დიკარა (11)
ვიჩენცა: სტერკელე, ტომასი, მარკო აურელიო, დიკარა, მაჯიო (კომოტო 46), ბერნარდინი (ფირმანი 60), კოვარი, დალ კანტო, ძაული, ტონი, მაურო ესპოზიტო (მაურიციო როსი 89)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
ბარი: ჟილე, ნექროიზი, მაცარელი, სიბილანო (საიდი 72), დელ გროსო (მადსენი 30), ბელავისტა, დ. ანდერსონი, ლა ფორტეცა (მასინგა 46), პეროტა, კასანო, ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ეუჯენიო ფასკეტი
გაფრთხილება: ნექროიზი, კოვარი, ფირმანი, ანდერსონი, პეროტა
15 000 მაყურებელი

„მილანი" ძალიან კმაყოფილი უნდა იყოს „ინტერთან" 2:2 რომ ითამაშა — ეს გახლდათ ქალაქის 247-ე დერბი, რომელიც იმით დაიწყო, რომ ოლივერ ბირჰოფმა „სან სიროს" გადავსებულ ტრიბუნებს ძველი ჭეშმარიტება შეახსენა: ბურთის ძელისთვის გარტყმა უზუსტო დარტყმის ნაირსახეობაა და მეტი არაფერი. ცოტა ხანში თომას ჰელვეგსაც შეეძლო ანგარიშის გახსნა...

„ინტერი" კი მეტოქის ასეთ გაავებას არად აგდებდა, მისთვის ჩვეულ, მომლოდინე ტაქტიკას ერთგულობდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა. ეს მომენტი მე-11 წუთზე გამოჩნდა — თურქმა ჰაქან შუქურმა, რომლისთვისაც მილანელთა გაწბილება საყვარელი საქმიანობაა (გაიხსენეთ, გასულ სეზონში „გალათასარაის" მიერ შავ-წითელთა ჩემპიონთა ლიგიდან გაძევება), კლარენს ზეედორფის უზადო პასით ისარგებლა და ბურთი კრისტიან აბიატის კარში შეაგდო.

„მილანი" მაინც დაჟინებით უტევდა, თუმცა შეტევის ბოლო ეტაპზე ლორან ბლანის ბრძნულ თამაშზე აწყობილ დაცვასა და ანდრეი შევჩენკოს გარშემო დარიო სიმიჩის შემოჭდობილ მარწუხებს აწყდებოდა. ერთი სიტყვით, ფრიად რიხიან „მილანს" შეტევაში მეტწილად შორეულ დარტყმებით უწევდა დაკმაყოფილება, დაცვაში კი მეტწილად აბიატის ოსტატობის წყალობით გადიოდა ფონს. ერთიც: „ინტერის" და იტალიის ნაკრების ფორვარდი კრისტიან ვიერი რვათვიანი მკურნალობის შემდეგ მოედანზე ახალი დაბრუნებულია, თორემ...

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად წარიმართა. ოღონდ მილანელთა გასახარად ზვონიმირ ბობანმა მაინც მოახერხა სებასტიან ფრეის კარში ბურთის შეგდება. მანამდე ბირჰოფმა თავურით სულ ოდნავ ააცილა მიზანს. შემდეგ კი, ხორვატმა იმავ ბირჰოფის პასით „ინტერის" საჯარიმოში შეაღწია და შორეულ კუთხეში დაარტყა ზუსტად, თუმცა...

„მილანს" დიდხანს არ უზეიმია — ლუიჯი დი ბიაჯომ საჯარიმოდან ისევ „ინტერი" დააწინაურა.

დრო გადიოდა. მილანელთა მწვრთნელმა, ალბერტო ძაკერონიმ თავზე ხელების უიმედოდ შემოჭდობაც კი განიზრახა, როდესაც გერმანელმა იხსნა: ფედერიკო ჯუნტის პასით ბირჰოფმა ანგარიშის საბოლოოდ გათანაბრება მოახერხა.

ალბერტო ძაკერონი: „კარგად დავიწყეთ, მეტოქის ნახევარზევე პრესინგს მივმართეთ და საგოლე მომენტებიც შევქმენით, მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე მწვავედ ავთამაშდით, შუქურმა გოლი გაგვიტანა. ამის შემდგომ ავღელდით და შეტევაშიც სტატიკურნი გავხდით. ერთი სიტყვით, პირველ ტაიმში „ინტერმა" გვაჯობა, მეორეში კი ვფიქრობ, მაინც ჩვენ ვითამაშეთ ოდნავ უკეთ. საზოგადოდ კი, მინდა გითხრათ, რომ იმაზე გაცილებით ძლიერი ვართ, ვიდრე დღეს გვიხილეთ".

ხოლო სანამ მილანელები ერთმანეთს გაორმაგებული ძალებით ებრძოდნენ, ლიდერმა, „რომამ", ერთ-ერთ ლიდერთაგანს, „ატალანტას" ბერგამოში 2:0 მოუგო.



„ლაციოსთან" მატჩში ნეაპოლელებს ბრაზილიელი ახალწვეული ედმუნდოც ქომაგობდა

„ჯერჯერობით საქმე ძალიან კარგად მიდის, თუმცა ისიც ცხადია, რომ ბოლომდე დიდი დროა" — განაცხადა რომაელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, რომელსაც ბერგამოში გაბრიელ ბატისტუტა არ ჰყავდა. არგენტინელი დაშავებულია. შემდეგ კაპელომ განაგრძო:

„დღეს მტკიცე ხასიათი გამოვავლინეთ და ძლიერ მოწინააღმდეგეს დიდებულად ვეთამაშეთ. ნუ დავივიწყებთ, რომ „ატალანტამ" წლეულს იტალიის თასზე უკვე შეგვიქმნა პრობლემები".

ანგარიში მე-40 წამზე, დაბალი დარტყმით, მარკო დელვეკიომ გახსნა. მასპინძლებმა, შემდეგ საპასუხო გოლი კი გაიტანეს, მაგრამ ნიკოლა ვენტოლას სიხარული თანამსაჯის ალმართულმა ალამმა ჩაახშო, ხოლო საპირისპირო კართან ფრანჩესკო ტოტისა და ვინჩენცო მონტელას მონაწილეობით ჩატარებული კომბინაცია დამიანო ტომაზის დარტყმით დასრულდა.

ამრიგად, „რომა" ჯიქურ მიიწევს ჩემპიონის ტიტულისკენ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა), ჩემპიონი „ლაციო" კი შინ(!) „ნაპოლისთან" დამარცხდა და... ამიერიდან მას შვედი სვენ გორან ერიკსონის ნაცვლად დინო ძოფი გაწვრთნის.

თამაშის დაწყებამდე კი, როდესაც „სტადიო ოლიმპიკოს" სტუმარ გულშემატკივართა ავტობუსი მიადგა, ერთ-ერთი თანმხლები პოლიციელი ახლომახლო ხიდიდან რომაელი ქომაგის ნასროლი ქვით გატეხილი შუშით დაიჭრა. ჩხუბი და აყალმაყალი ტრიბუნებზეც გაგრძელდა. რის შედეგადაც ერთი ნეაპოლელი ტიფოზი პოლიციამ სახედასისხლიანებული გააქანა საავადმყოფოში. სტადიონის შემოგარენთან კიდევ ერთი ნეაპოლელი დაჭრეს. სულ დაახლოებით 12 ადამიანი დასახიჩრდა, თუმცა, სერიოზულად არცერთი...

**ბაბუნა ძიდია**



პარმა — რეჯინა 0:2. ფაბიო კანავარომ (შუაში) და მისმა თანაგუნდელებმა სტუმრებს ვერაფერი დააკლეს

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რომა | 13 | 10 | 2 | 1 | 25:8 | 17 | 32 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 16 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 10 | 16 |
| 2 | იუვენტუსი | 13 | 6 | 6 | 1 | 22:13 | 9 | 24 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 3 | 11 | 7 | 3 | 4 | 0 | 12:6 | 6 | 13 |
| 3 | ატალანტა | 13 | 6 | 4 | 3 | 16:11 | 5 | 22 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 3 | 11 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 11 |
| 4 | ფიორენტინა | 13 | 5 | 6 | 2 | 25:19 | 6 | 21 | 6 | 4 | 1 | 1 | 14:9 | 5 | 13 | 7 | 1 | 5 | 1 | 11:10 | 1 | 8 |
| 5 | ლაციო | 13 | 6 | 3 | 4 | 20:14 | 6 | 21 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 6 | მილანი | 13 | 5 | 5 | 3 | 22:17 | 5 | 20 | 7 | 3 | 3 | 1 | 15:10 | 5 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 8 |
| 7 | ბოლონია | 13 | 6 | 2 | 5 | 18:16 | 2 | 20 | 7 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 14 | 6 | 2 | 0 | 4 | 9:11 | -2 | 6 |
| 8 | უდინეზე | 13 | 6 | 1 | 6 | 22:18 | 4 | 19 | 7 | 5 | 0 | 2 | 16:7 | 9 | 15 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:11 | -5 | 4 |
| 9 | პერუჯა | 13 | 5 | 4 | 4 | 20:18 | 2 | 19 | 7 | 3 | 3 | 1 | 13:8 | 5 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 |
| 10 | პარმა | 13 | 5 | 3 | 5 | 15:14 | 1 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | -3 | 5 |
| 11 | ინტერი | 13 | 4 | 5 | 4 | 15:16 | -1 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 11 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | -5 | 6 |
| 12 | ლეჩე | 13 | 4 | 4 | 5 | 15:22 | -7 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:12 | -3 | 8 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 8 |
| 13 | ვიჩენცა | 13 | 4 | 3 | 6 | 14:19 | -5 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 7 |
| 14 | ნაპოლი | 13 | 3 | 5 | 5 | 18:21 | -3 | 14 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:13 | -1 | 8 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 15 | ვერონა | 13 | 2 | 6 | 5 | 16:24 | -8 | 12 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:9 | 0 | 9 | 7 | 0 | 3 | 4 | 7:15 | -8 | 3 |
| 16 | რეჯინა | 13 | 3 | 1 | 9 | 10:25 | -15 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 7 | 7 | 1 | 0 | 6 | 6:17 | -11 | 3 |
| 17 | ბრეშა | 13 | 1 | 6 | 6 | 13:19 | -6 | 9 | 6 | 0 | 5 | 1 | 6:8 | -2 | 5 | 7 | 1 | 1 | 5 | 7:11 | -4 | 4 |
| 18 | ბარი | 13 | 2 | 2 | 9 | 10:22 | -12 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | -3 | 7 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | -9 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 11 |
| ბატისტუტა (რომა) | 10 |
| სოსა (უდინეზე) | 7 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 7 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 7 |

### XIV ტური

13 იანვარი
ბრეშა — პერუჯა
ფიორენტინა — მილანი

14 იანვარი
ინტერი — პარმა
იუვენტუსი — ბოლონია
ლეჩე — ვიჩენცა
რეჯინა — ატალანტა
რომა — ბარი
უდინეზე — ლაციო
ვერონა — ნაპოლი

### სერია C1/A

მე-17 ტური: ალბინოლეფე — ლივორნო 1:1; ალესანდრია — ლუკეზე 0:0; ბრეშელო — ვარეზე 0:0; ჩეზენა — არეცო 1:3; სპეცია — სპალ 1:1; ლუმეცანე — რეჯანა 1:1; ლეკო — მოდენა 0:2; პიზა — კომო 1:1; ალძანო — კარარეზე 1:0

### სერია C1/B

გადადებული მატჩი: პალერმო — მესინა 1:2
მე-17 ტური: ატლეტიკო — ასკოლი 1:2; ჯი სანგრო — ტორესი 1:2; ჯულიანოვა — ლოდიჯანი 0:3; ნოჩერინა — ფერმანა 1:0; პეზარო — სავოია 3:0; ასკოლი — პალერმო 3:3; მესინა — ავილინო 0:0; ფ. ანდრია — ბენევენტო 1:1; ვიტერბეზე — კატანია 2:1

## ესპანეთი

XVII ტური

**სოსიედადი 1:1 სარაგოსა**

1:0 იანკაუსკასი (35), 1:1 აკუნია (81)
სოსიედადი: ალბერტო, კორინო, ლოპეს რეკარტე, პიკაბეა, არანსაბალი, ფუენტესი, ტაიფური, ხოხლოვი, დე პედრო (ხაურეგი 42), იანკაუსკასი, დე პაულა (დემეტრაძე 55; კოლეტი 75)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
სარაგოსა: ხუანმი, რებოსიო (იორდი 53), სუნდგრენი, აგუადო (კუარტერო 15), ლანა, აკუნია, ხოსე იგნასიო, მარტინ ველისკა, ესნაიდერი, მონტენეგრო (ჟამელი 66), ხუანელე
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: იორდი, კორინო, კუარტერო, ხოსე იგნასიო, იანკაუსკასი, რებოსიო, მარტინ ველისკა
გაძევება: კორინო (38)
23 000 მაყურებელი

**ოვიედო 2:3 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (8), 0:2 რივალდო (13), 0:3 კლუივერტი (65), 1:3 ონოპკო (63), 2:3 ივან ანია (67)
ოვიედო: ესტებანი, ბორისი, მარტინოვიჩი (რაბარივონი 46), დანჟუ, ონოპკო, ოსკარ პერესი (მიოლერი 63), ი. ტომიჩი, კეიტა, ივან ანია, ოლი, რუბენი (პაუნოვიჩი 46)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ბარსელონა: რეინა, ფ. დე ბური, სერხი, რაიციგერი, ოვერმარსი (ალფონსო 81), ხერარდი (პეტი 70), კოკუ, გვარდიოლა, სიმაო (ლუის ენრიკე 72), რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: რუბენი, გვარდიოლა, პაუნოვიჩი, სერხი, კლუივერტი, ლუის ენრიკე
27 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:0 რასინგი**

1:0 კარეუ (45)
ვალენსია: კანისარესი, აიალა, ალბელდა (პარი 85), ჟუკიჩი, პელეგრინო, ბარახა, ვისენტე, ანგულო (დეშამპი 71), მენდიეტა, კარეუ, ილიე (ზაჰოვიჩი 66)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
რასინგი: ლემენსი, ტაისი, სიეტესი (ვივარ დორადო 40), ჩემა, მელბერგი, მაცონი, ამავისკა, მორანი, ესპინა (ისმაელი 61), ხაიმე (პრესიადო 76), მანხარინი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ჟუკიჩი, ილიე, აიალა, კანისარესი, ისმაელი
36 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 3:1 დეპორტივო**

1:0 პაჩონი (75), 2:0 ეუსებიო (79), 2:1 პანდიანი (82), 3:1 პაჩონი (87)
ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, გარსია კალვო, მარკოსი, პაინცე, ხესუსი, ანტონიო ლოპესი, ფერნანდო, კამინერო, ეუსებიო, ალბერტო (პაჩონი 66)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
დეპორტივო: ხ. მოლინა, პელდერი, ნაიბეტი, რომერო, მანუელ პაბლო, ემერსონი, ფერნანდო (პანდიანი 77), ვიქტორ სანჩესი (დუშერი 90), ჯალმინია, მაურო სილვა (სკალონი 70), მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ტორეს გომესი, მანუელ პაბლო, ვიქტორ სანჩესი, ანტონიო ლოპესი, ემერსონი
12 000 მაყურებელი

**ალავესი 1:3 რეალი**

0:1 რაული (14), 1:1 ტელიესი (45), 1:2 კარმონა (55ხ.კ.), 1:3 გუტი (88)
ალავესი: ერერა, ჯელი, ტელიესი, კარმონა, ჯ. ტომიჩი (დიოლონგა 76), ასტუდილიო, დესიო, პაბლო (მაგნო 74), იბონ ბეგონია, კრუიფი, ხავი მორენო (ივან ალონსო 76)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
რეალი: კასილიასი, კარანკა, იერო, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ჯერემი, ელგერა, სავიო (მუნიტისი 64), ფიგუ, მორიენტესი (გუტი 58), რაული (სელადესი 86)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, იბონ ბეგონია, კრუიფი, კარმონა, დესიო
გაძევება: იბონ ბეგონია (54)
17 109 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:0 ნუმანსია**

1:0 მუნისი (20ხ.კ.), 2:0 ტამუდო (43)
ესპანიოლი: მორა, ტოლედო, პოჩეტინიო, კრისტობალი, სოლდევილა, ოსკარი (მარტინ პოსე 13; დე ლუკასი 81), როხერი, გალკა, სერხიო, ველამასანი, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ნუმანსია: ნუნიესი, გუსტავო, პაჩეტა, მუნისი (ბარბუ 46), ხაუმე, ნაგორე (პირი 60), ხოსე მანუელი, კაკო მორანი, ოქტავიო, ოხედა (დელგადო 75), ინიაკი
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
გაფრთხილება: ნაგორე, გუსტავო, პირი
17 300 მაყურებელი

**სელტა 0:1 ლას პალმასი**

0:1 ულარე (12)
სელტა: კავალიერო, ბერიზო, ხუანფრანი (ხესული 46), კასერესი, ველასკო, ედუ (პაბლო 73), დორივა (მოსტოვოი 46), კარპინი, ვაგნერი, მაკარტი, გუსტავო ლოპესი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ალვარო, პაკუი, შურერი, გიარე (ელოი 73), ხორხე (ანხელი 46), ედუ ალონსო, იარნი, ხოსიკო, ულარე, პაბლო ლაგო (მ. მოლინა 82)
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: ედუ, პაბლო ლაგო, ნაჩო გონსალესი, ანხელი, ალვარო, იარნი, ედუ ალონსო, გიარე
19 000 მაყურებელი

**ოსასუნა 1:0 ვილიარეალი**

1:0 არმენტანო (42)
ოსასუნა: ნუნო, აიტორ ოკიო, კრუჩაგა, მატეო, იანგუსი, ლორენსი, ლეკუმბერი, ალფრედო (პალასიოსი 73), ალექსი, ივან როსადო (საბინო 89), არმენტანო (არპონი 61)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, კიკე ალვარესი, არუაბარენა, უნაი, ხავი როკა, ამორი (ხავი გარსია 80), კანია, კალესა (მოიზესი 57), ვიქტორი, მარიონი (კრაიოვიანუ 80), ხორხე ლოპესი
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: ალექსი, აიტორ ოკიო, ამორი, ლორენსი, ხორხე ლოპესი, ხავი როკა, კრუჩაგა
15 493 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 2:2 მალიორკა**

0:1 იბაგასა (4), 1:1 დე კინტანა (33), 2:1 კევედო (42), 2:2 ეტოო (62)
რაიო ვალეკანო: კელერი, ბალესტეროსი, დე კინტანა, მინგო, ალკასარი, კევედო, პელდერი (პაბლო სანსი 67), ბოშნერი (მაურო 67), მიჩელი, ბოლიჩი (სემბრანოსი 73), ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ოლაიზოლა, ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, ფინიდი, მარკოსი (ჩიჩი სოლერი 87), ენგონგა, იბაგასა (სტანკოვიჩი 80), ეტოო, კარლოსი (ნოვო 50)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: მინგო, ოლაიზოლა
12 000 მაყურებელი

**მალაგა 2:1 ბილბაო**

1:0, 2:0 დელი ვალდესი (16, 40), 2:1 იესტე (48)
მალაგა: კონტრერასი, დ. ლარაინსარი, ვალკარსე, როტეტა, როხასი, დე ლოს სანტოსი, რუფეტე, მოვილია, დელი ვალდესი (კანაბალი 84), აგოსტინიო (ისნატა 65), დარიო სილვა (ზარატე 76)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ბილბაო: ლაფუენტე, ფელიპე, დელ ჰორნო (ხავი გონსალესი 75), რიოსი, ა. ლარაინსარი, ლაკრუსი, ორბაისი (ტიკო 84), იესტე, ოსკარ ვალესი, ურსაისი, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: ოსკარ ვალესი, დე ლოს სანტოსი
15 000 მაყურებელი

# საახალწლო ერბოკვერცხი




ვალენსია — რასინგი 1:0. ვალენსიელი აიალა (მარჯვნივ) და სანტანდერელი მაცონი

**კვირას,** 7 იანვარს, „ვალენსია“ „რასინგს“ მასპინძლობდა. წინა დღით გუნდმა „მესტალაზე“ ივარჯიშა და ავტობუსით ბაზაზე ბრუნდებოდა, სადაც ბლომად გაავებული ფანები ელოდებოდნენ და ჯიბეები საეჭვოდ ჰქონდათ გაბერილი. აღმოჩნდა, რომ ეს იყო კვერცხები, რომლებიც მერე ავტობუსს დაუშინეს. რას ერჩოდნენ ჩემპიონატის ლიდერს? რას და რამდენიმე დღით ადრე ესპანეთის თასზე მესამედივიზიონელ „გუადიქსთან“ დამარცხება არ აპატიეს. „დაბომბვის“ შემდეგ მიროსლავ ჯუკიჩმა თქვა, გულშემატკივრებს არ ვამტყუნებ, მართლაც საზიზღრად ვითამაშეთო.

თუმცა საახალწლოდ დაბალდივიზიონელებმა თასის გათამაშებიდან შვიდი პრიმერადივიზიონელი რომ გააძევეს, ეს სულ სხვა ისტორიაა, ახლა კი მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ.

„რეალ სოსიედადში“ ერთდროულად ორ კაცს ჰქონდა დებიუტი — ერთს ნაღდი, მეორეს კი არც ისე. ნაღდი დებიუტანტი გიორგი დემეტრაძეა, რომელმაც 55-ე წუთზე ოსკარ დე პაულა შეცვალა, მაგრამ ოც წუთში თავადაც შესაცვლელი შეიქნა — კუნთი დაიჭიმა. მეორე კაცი ჯონ ტოშაკია, რომელმაც უელსიდან თურქეთამდე ყველაფერი მოიარა, ამ სეზონში კი „სოსიედადის“ მესამე მწვრთნელი გახდა (ხავიერ კლემენტეს და პერიკო ალონსოს შემდეგ). ნაღდი დებიუტანტი მას იმიტომ არ ეთქმის, რომ სხვადასხვა დროს უკვე ორჯერ წვრთნიდა ბასკურ გუნდს.

დაბრუნება იღბლიანი გამოდგა. მართალია, „სოსიედადმა“ ერთბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და სარაგოსელებმა კუთხურის ჩაწოდების შემდეგ 81-ე წუთზე გაათანაბრეს, მაგრამ საერთო აზრია — „სოსიედადს“ ამ სეზონში ასე კარგად არ უთამაშია. სანსებასტიანელები პირველ ტაიმში მოედნის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ, თუმცა ტაიმის მიწურულს სერხიო კორინოს მეორე ყვითელმა ბარათმა აიძულა, მეტი ყურადღება დაცვისთვის დაეთმოთ. მატჩის შემდეგ ტოშაკმა თქვა, ჩვენს დღევანდელ თამაშში დადებითი სჭარბობდა უარყოფითს და აშკარად ვიმსახურებდით მოგებასო. ასეა თუ ისე, „სოსიედადი“ კვლავაც აუტსაიდერია.

„ვალენსიაზე“ საუბარი განვაგრძოთ. თასიდან გავარდნის შემდეგ ამ გუნდმა იონ კარეუს გოლით სანტანდერელებს სძლია, თუმცა თამაშის ხარისხი ბევრად უკეთესი არ ყოფილა. ამან დიდად აღაშფოთა ისედაც გაავებული ქომაგები და ათქმევინა, ექტორ რაულ კუპერმა თავისი შესაძლებლობები ამოწურაო. გაოცებას ვერ მალავს გაისკა მენდიეტა: „ვერაფერი გამიგია, ჩემპიონატს ვლიდერობთ, ჩემპიონთა ლიგაშიც წინ მივიწევთ და ამ ხალხს მეტი რაღა უნდა, ნუთუ ერთ წაფორხილებას უნდა გადააყოლონ მწვრთნელი. მთავარი ხომ ჩემპიონობაა და ეს თუ შევძელით, ვეჭვობთ, ვინმეს წამოსცდეს, ულიმღამო თამაშით მიაღწიეთ წარმატებასო.“

თუმცა აღვნიშნოთ, რომ პრიმერადივიზიონის პოტენციური ლიდერი „რეალია“, რაკი ერთი თამაში მარაგში აქვს და ისიც „სარაგოსასთან“, გუნდთან, რომელიც წლეულს კარგი გამოსვლით ვერ დაიკვეხნის. დედაქალაქელებმა ამ ტურში „ალავესი“ დაამარცხეს და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გაუჭირდათ.

ანგარიში რაულმა გახსნა ჯერემი ნჯიტაპის დიდებული პასით, მაგრამ შემდეგ „რეალს“ რამდენიმე უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გაუცუდდა და ოსკარ ტელიესმაც გაათანაბრა. შესვენების მერე სტუმრებმა იძალეს, რაშიც ვიტორიელებიც დაეხმარნენ — ჯერ იბონ ბეგონიამ ხელით თამაშისთვის წითელი ბარათი დაიმსახურა, ხოლო წუთის შემდეგ ანტონიო კარმონამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მატჩის მიწურულს საბოლოოდ წამხდარ მასპინძლებს გუტიმ ერთიც გაუტანა. მაგრამ ვისენტე დელ ბოსკეს მოვუსმინოთ: „ძალიან უცნაური თამაში გამოდგა. პირველ ტაიმში, როცა ვიტორიელები თერთმეტნი იყვნენ, თამაშს მთლიანად ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ როცა კაცი გაუძევეს, აქეთ შემოგვიტიეს. კიდევ კარგი, რომ საკუთარ კარში შეაგდეს, თორემ მატჩის ბედი ეგებ სხვაგვარად დატრიალებულიყო“.

არანაკლებ უცნაური გამოდგა „ოვიედო“ — „ბარსელონას“ შეხვედრაც. კატალონიელებს 3:0-ზე თავი ქუდში ეგონათ და როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, კინაღამ დაისაჯნენ — ოთხწუთიან ინტერვალში ვიქტორ ონოპკომ და ივან ანიამ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. ბედი არ ჰქონიათ ოვიედოელებს, თორემ დარჩენილ დროში იმდენი მომენტი შექმნეს, ერთი მაინც უნდა გაეტანათ. არადა, „ოვიედოს“ შინ წაგების სიმწარე აქამდე არ ეგემა და ახლა გამოსცადა.

ისევ წააგო „დეპორტივომ“. ისევ, რადგან სამიოდე დღით ადრე სამეფო თასზე „ტენერიფესთან“ დამარცხდა, მაგრამ მესამე ადგილს მაინც ინარჩუნებს.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 17 | 10 | 5 | 2 | 29:10 | 19 | 35 | 9 | 8 | 1 | 0 | 20:3 | 17 | 25 | 8 | 2 | 4 | 2 | 9:7 | 2 | 10 |
| 2 | რეალი | 16 | 11 | 2 | 3 | 37:19 | 18 | 35 | 7 | 6 | 0 | 1 | 20:6 | 14 | 18 | 9 | 5 | 2 | 2 | 17:13 | 4 | 17 |
| 3 | დეპორტივო | 17 | 9 | 4 | 4 | 29:17 | 12 | 31 | 8 | 6 | 2 | 0 | 16:2 | 14 | 20 | 9 | 3 | 2 | 4 | 13:15 | -2 | 11 |
| 4 | ბარსელონა | 17 | 9 | 3 | 5 | 35:26 | 9 | 30 | 8 | 6 | 1 | 1 | 18:9 | 9 | 19 | 9 | 3 | 2 | 4 | 17:17 | 0 | 11 |
| 5 | მალიორკა | 17 | 7 | 6 | 4 | 23:21 | 2 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 13:8 | 5 | 17 | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | -3 | 10 |
| 6 | რაიო ვალეკანო | 17 | 6 | 7 | 4 | 35:27 | 8 | 25 | 9 | 5 | 3 | 1 | 21:10 | 11 | 18 | 8 | 1 | 4 | 3 | 14:17 | -3 | 7 |
| 7 | ალავესი | 17 | 7 | 3 | 7 | 26:21 | 5 | 24 | 9 | 5 | 1 | 3 | 14:8 | 6 | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 8 |
| 8 | მალაგა | 17 | 7 | 3 | 7 | 28:26 | 2 | 24 | 9 | 6 | 2 | 1 | 20:11 | 9 | 20 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:15 | -7 | 4 |
| 9 | ლას პალმასი | 17 | 7 | 3 | 7 | 21:34 | -13 | 24 | 8 | 4 | 1 | 3 | 10:14 | -4 | 13 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:20 | -9 | 11 |
| 10 | ვილიარეალი | 17 | 6 | 5 | 6 | 20:20 | 0 | 23 | 8 | 2 | 4 | 2 | 7:10 | -3 | 10 | 9 | 4 | 1 | 4 | 13:10 | 3 | 13 |
| 11 | ოვიედო | 17 | 7 | 2 | 8 | 22:28 | -6 | 23 | 9 | 7 | 1 | 1 | 22:11 | 11 | 22 | 8 | 0 | 1 | 7 | 0:17 | -17 | 1 |
| 12 | ვალიადოლიდი | 17 | 4 | 9 | 4 | 19:20 | -1 | 21 | 9 | 4 | 5 | 0 | 11:5 | 6 | 17 | 8 | 0 | 4 | 4 | 8:15 | -7 | 4 |
| 13 | ესპანიოლი | 17 | 6 | 3 | 8 | 19:21 | -2 | 21 | 9 | 4 | 1 | 4 | 10:9 | 1 | 13 | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | -3 | 8 |
| 14 | სარაგოსა | 16 | 4 | 8 | 4 | 19:17 | 2 | 20 | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 5 | 13 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 |
| 15 | ბილბაო | 17 | 5 | 5 | 7 | 22:24 | -2 | 20 | 8 | 5 | 1 | 2 | 17:11 | 6 | 16 | 9 | 0 | 4 | 5 | 5:13 | -8 | 4 |
| 16 | სელტა | 17 | 5 | 4 | 8 | 21:27 | -6 | 19 | 9 | 4 | 4 | 1 | 15:10 | 5 | 16 | 8 | 1 | 0 | 7 | 6:17 | -11 | 3 |
| 17 | ოსასუნა | 17 | 3 | 7 | 7 | 17:24 | -7 | 16 | 9 | 2 | 4 | 3 | 10:11 | -1 | 10 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:13 | -6 | 6 |
| 18 | ნუმანსია | 17 | 4 | 4 | 9 | 18:28 | -10 | 16 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 0 | 11 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:18 | -10 | 5 |
| 19 | რასინგი | 17 | 3 | 5 | 9 | 19:29 | -10 | 14 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:11 | 1 | 12 | 9 | 0 | 2 | 7 | 7:18 | -11 | 2 |
| 20 | სოსიედადი | 17 | 3 | 4 | 10 | 16:36 | -20 | 13 | 9 | 1 | 4 | 4 | 10:19 | -9 | 7 | 8 | 2 | 0 | 6 | 6:17 | -11 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 13 |
| რივალდო (ბარსელონა) | 11 |
| რაული (რეალი) | 9 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 9 |
| კატანია (სელტა) | 9 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 9 |

**XVIII ტური**

13 იანვარი
დეპორტივო — ვალენსია
14 იანვარი
ბარსელონა — ვალიადოლიდი
სოსიედადი — ბილბაო
რასინგი — მალაგა
რეალი — ოვიედო
მალიორკა — ალავესი
ნუმანსია — რაიო ვალეკანო
ლას პალმასი — ესპანიოლი
ვილიარეალი — სელტა
სარაგოსა — ოსასუნა

## მეორე დივიზიონი

XIX ტური

**ბეტისი 1:0 ლევანტე**
1:0 სესარი (15)

**კორდობა 1:1 ლეგანესი**
0:1 მორალესი (23), 1:1 მელგარი (70პ)

**უნივერსიდადი 0:0 ლეიდა**

**ელჩე 0:0 ხაენი**

**კომპოსტელა 2:0 უელვა**
1:0 აგუადო (42), 2:0 გუდელი (67)

**ფეროლი 2:1 ხეტაფე**
0:1 პარადო (72), 1:1 რაზოვი (87), 2:1 მანელი (90)

**ბადახოსი 2:0 სპორტინგი**
1:0 ბრაკამონტე (7), 2:0 ხორხე (32)

**ატლეტიკო 0:0 ალბასეტე**

**ესტრემადურა 0:1 სალამანკა**
0:1 კ. მუნტიანუ (75პ)

**ეიბარი 0:1 მურსია**
0:1 აგილარი (52პ)

**ტენერიფე 1:2 სევილია**
0:1 ოლივერა (15პ), 0:2 ზალაიეტა (53პ), 1:2 კურო ტორესი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 19 | 11 | 4 | 4 | 29:18 | 37 |
| ბეტისი | 19 | 10 | 5 | 4 | 18:11 | 35 |
| ტენერიფე | 19 | 10 | 4 | 5 | 29:16 | 34 |
| სალამანკა | 19 | 9 | 5 | 5 | 22:17 | 32 |
| უელვა | 19 | 7 | 10 | 2 | 14:8 | 31 |
| ბადახოსი | 19 | 6 | 10 | 3 | 18:15 | 28 |
| ალბასეტე | 18 | 7 | 7 | 4 | 17:14 | 28 |
| მურსია | 19 | 7 | 6 | 6 | 27:23 | 27 |
| ლევანტე | 19 | 6 | 9 | 4 | 24:20 | 27 |
| ესტრემადურა | 19 | 7 | 5 | 7 | 19:18 | 26 |
| კორდობა | 19 | 7 | 5 | 7 | 16:19 | 26 |
| სპორტინგი | 19 | 6 | 7 | 6 | 26:21 | 25 |
| ატლეტიკო | 19 | 6 | 7 | 6 | 22:21 | 25 |
| ხაენი | 19 | 7 | 4 | 8 | 13:18 | 25 |
| ეიბარი | 19 | 5 | 8 | 6 | 14:15 | 23 |
| ლეგანესი | 19 | 4 | 10 | 5 | 22:20 | 22 |
| ელჩე | 19 | 5 | 6 | 8 | 21:27 | 21 |
| კომპოსტელა | 19 | 6 | 3 | 10 | 19:31 | 21 |
| ხეტაფე | 19 | 4 | 6 | 9 | 18:27 | 18 |
| ფეროლი | 18 | 4 | 5 | 9 | 19:26 | 17 |
| ლეიდა | 19 | 3 | 6 | 10 | 20:28 | 15 |
| უნივერსიდადი | 19 | 1 | 8 | 10 | 13:27 | 11 |

## სამეფო თასი

**მერთექვსმეტედფინალი**

გრანადა — ვილიარეალი 1:1 (პენ. 5:4); რეიესი — ბილბაო 1:2; ლევანტე — ესპანიოლი 0:2; ბესაანი — სარაგოსა 0:3; ატლეტიკო — ოსასუნა 3:1; ხიმნასტიკა — ლას პალმასი 2:1; ტოლედო — რაიო ვალეკანო 0:1; ბადახოსი — რასინგი 0:4; ლეგანესი — ნუმანსია 2:0; ხერესი — მალიორკა 0:3; ესტრემადურა — ვალიადოლიდი 2:1; ხაენი — მურსია 1:1 (პენ. 2:4); გუადიქსი — ვალენსია 4:4 (პენ. 5:4); კომპოსტელა — სელტა 1:3; კეუტა — ბარსელონა 0:3; ტენერიფე — დეპორტივო 3:2

**მერვედფინალი**

I მატჩები

ესტრემადურა (II) — ესპანიოლი 1:1; ხიმნასტიკა (III) — ბარსელონა 0:1; გუადიქსი (III) — გრანადა (III) 0:0; ლეგანესი (II) — სელტა 1:2; მურსია (II) — სარაგოსა 2:3; რასინგი — ბილბაო 2:0; ტენერიფე (II) — მალიორკა 0:2; ატლეტიკო (II) — რაიო ვალეკანო ნუხელ გვიან გაიმართა

# ორ სკამზე ჯდომის ნაკლოვანებანი




სვენ გორან ერიკსონმა ტახტი დინო ძოფს დაუთმო

**7 იანვარს,** რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე", იტალიის ჩემპიონმა, „ლაციომ" „ნაპოლისთანაც" წააგო. ბოლო 12 შეხვედრაში გუნდმა მხოლოდ ორჯერ მოახერხა გამარჯვება. დღეს იგი ლიდერს, „რომას" 11 ქულით ჩამორჩება, რაც საჩემპიონო ამბიციების მქონე გუნდისთვის მეტისმეტია, ხოლო „ლაციოს" რომ დიახაც საჩემპიონო ამბიციები აქვს ტიტულის გარდა მისი შემადგენლობიდანაც ჩანს.

კი, მაგრამ, რა ხდება? როგორც ჩანს, ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია და ის გასული წლის 31 ოქტომბერთან არის დაკავშირებული: 31 ოქტომბერს „ლაციოს" მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან დადო კონტრაქტი — ამ ქვეყნის ნაკრები ჩაიბარა. კონტრაქტი ისეთი იყო, რომ შვედს სეზონი რომში უნდა ჩაემთავრებინა, ლა მანშს გადაღმა კი მხოლოდ მერე წასულიყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, ერთდროულად ორ სკამზე ჯდომა ძნელია. სწორედ 31 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო „ლაციოს" თვალშისაცემი დაღმასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ერიკსონი ამტკიცებდა, ერთბაშად ორ სკამზე ფიქრი მეხერხებაო.

და აი, 7 იანვარს „ლაციომ" „ნაპოლისთანაც" წააგო, თან შინ. „ფეხბურთელებს პირში ჯერაც სამობაო ნამცხვრის გემო უტრიალებთ. ხვალ შევხვდები ერიკსონს და ვკითხავ რაში ხედავს გამოსავალს" — ამბობდა „ნაპოლისთან" მარცხის მეორე დღეს „ლაციოს" მეპატრონე სერჯო კრანიოტი, ხოლო დღეს კლუბის პრესატაშემ ოფიციალურად განაცხადა, რომ ეს შეხვედრა შედგა და მხარეებმა მოილაპარაკეს. ერთი სიტყვით, ერიკსონი გუნდში რჩებაო.

იმავე დღეს იტალიური პრესა ერთხმად ამტკიცებდა საწინააღმდეგოს. გაზეთები, თითქოს პირი შეკრესო, ერთსა და იმავეს წერდნენ — ყველაფერი გადაწყვეტილია, ერიკსონი მიდის, ხოლო მის ადგილს დინო ძოფი დაიკავებსო.

გაზეთები, როგორც ყოველთვის, მართალნი გამოდგნენ, სვენ გორან ერიკსონი კრანიოტიმ თანამდებობიდან გაათავისუფლა, ხოლო გახარებულმა ინგლისელებმა დაუყოვნებლივ გამოაცხადეს, რომ ის უკვე 28 თებერვალს ბირმინგემში ესპანელებთან ამხანაგური მატჩის დროს უხელმძღვანელებს მათ ნაკრებს.

ხოლო „ლაციოს" მწვრთნელის თანამდებობა, ცხადია, დინო ძოფმა ჩაიბარა.

„ამას არ ველოდი. სულ არ მეგონა ერიკსონს თუ გაუშვებდნენ, მაგრამ როგორც „ლაციოს" ოჯახის წევრი ვალდებული ვარ, საქმეს ხელი მოვკიდო" — განაცხადა ძოფმა, რომელიც რომაულ კლუბს 1990-94 წლებში უკვე წვრთნიდა — „მე სერჯო კრანიოტის იმდენად ახლო მეგობარი გახლავართ, არც კი მიკითხავს რამდენს გადამიხდის".

მას მერე, რაც 1994 წელს მწვრთნელობიდან გადადგა, ძოფი „ლაციოში" პრეზიდენტად მუშაობდა, ხოლო 96-97 წლების სეზონში ეგრეთწოდებული თანამწვრთნელიც გახდა. თუმცა, შემდეგ, 1998 წელს, მოგეხსენებათ, ნაკრების გაძღოლა ანდეს და გასულ ზაფხულს ევრო 2000-ის ფინალში დამარცხების შემდეგ მოხსნეს ამ თანამდებობიდან.

ამრიგად, კვირას, „უდინეზეს" წინააღმდეგ „ლაციოს" ახალი თავკაცი დამოძღვრავს. ის აცხადებს, რომ ასისტენტ მწვრთნელთა შემადგენლობის გადახალისებას არ აპირებს, თუმცა მისი გამოჩენით ერიკსონის რჩეულ ვარსკვლავს, რობერტო მანჩინის, რომ კლუბში პირველი კაცობა გადაედო, ფაქტია. და მაინც:

„ერიკსონმა „ლაციოს" ბევრი ჯილდო მოაგებინა. მე მისი საქმის გაგრძელებას ვაპირებ. ვფიქრობ, წარმატების ძალა შეგვწევს" — ამბობს დინო ძოფი.

# მესაძირკვლის დაბრუნება



წასული ალბერტო მალეზანი

**შინ,** „რეჯინასთან" 0:2 დამარცხება „პარმაში" მწვრთნელის გამოცვლის საწინდარი გამოდგა — ალბერტო მალეზანი არიგო საკიმ შეცვალა. კლუბის გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში მალეზანის მისამართით მრავალი მადლობის სიტყვაა ნათქვამი.

მართლაც, ჩრდილო იტალიის პროვინციული ქალაქის გუნდმა 1999 წელს ალბერტო მალეზანის ხელმძღვანელობით უეფასა და იტალიის თასები მოიპოვა, მაგრამ ამ სეზონში 13 მატჩიდან მხოლოდ ხუთში შეძლო გამარჯვება. ცხრილში მე-10 ადგილზე დაშვება „პარმას" პრეზიდენტმა, კალისტო ტანციმ შეაფასა, როგორც უახლესი ისტორიის უმძიმესი მომენტი და მალეზანი თანამდებობიდან დაითხოვა.

ამრიგად, სერია A-სა და „პარმას" არიგო საკი დაუბრუნდა. თუკი სერია A-ში საკი ოთხი წელიწადია არ გამოჩენილა, „პარმაში" მას თოთხმეტი წელიწადია არ უმუშავია. არადა, სწორედ ამ კლუბში მუშაობით დაიწყო თავისი დიდი კარიერა მრავალი ტიტულის მფლობელმა მწვრთნელმა. 80-იანი წლების შუაში მან სერია C-ს უსახური გუნდი ჩაიბარა და 1987 წელს, როდესაც „მილანში" მიიწვიეს იგი სერია B-ში მეშვიდე ადგილზე დატოვა.

„მილანში" საკის თავბრუდამხვევი წარმატებები ჰქონდა, პირველივე სეზონში იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიგო, ხოლო შემდგომ ორ წელიწადს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ფეხბურთის ისტორიაში ულამაზესი და უძლიერესი გუნდი შექმნა.

1991 წელს იგი იტალიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, მისი ხელმძღვანელობით „სკუადრა აძურა" 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალში გავიდა, სადაც ბრაზილიასთან პენალტებით წააგო, მაგრამ ორი წლის შემდეგ, ევრო 96-ზე წარუმატებლად ითამაშა და თანამდებობიდან გაანთავისუფლეს.

ამის შემდეგ საკიმ ერთი წელიწადი დაისვენა და კარიერა ესპანეთში, მადრიდის „ატლეტიკოში" განაგრძო, საიდანაც 1999 წელს წავიდა. მას მერე უპირატესად ტელემიმომხილველად და კრიტიკოსად მუშაობდა.



მოსული არიგო საკი

მის ჩაყრილ საფუძველზე აღორძინებული „პარმა" კი 1990 წელს სერია A-ში გადავიდა და ბოლო ათწლეულში თასების მფლობელთა თასი ერთხელ, ხოლო უეფას თასი ორჯერ მოიპოვა. ერთადერთი, რაც პარმელთა კოლექციას აკლია იტალიის ჩემპიონის ტიტული — „სკუდეტოა".

არიგო საკი კი „პარმაში" დაბრუნდა.

## შოტლანდია

### XXIV ტური

**ჰიბერნიანი 1:0 დანდი იუნაიტედი**

1:0 ლატაპი (90პ)

**სენტ ჯონსტონი 2:2 ჰართსი**

0:1 კირკი (6), 1:1 სილა (24), 2:1 კონოლი (35), 2:2 დიური (77)

აბერდინი — სენტ მირენი; სელტიკი — მოზერუელი; დანდი — დანფერმლაინი; კილმარნოკი — რეინჯერსი გადაიდო

### XXV ტური

**ჰიბერნიანი 3:0 დანდი**

1:0 პატერსონი (6), 2:0 ფენვიკი (41), 3:0 ონილი (69)

დანდი: როკატი (ლენგილდი 75), სმიტი, ტვიდი, დელ რიო, ბონეტი, მაკსკიმინგი, რაე, ნემსაძე, კარანსა, სარა (მილნი 65), კანიჯა

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: ნემსაძე, მილნი

12 379 მაყურებელი

**აბერდინი 1:0 ჰართსი**

1:0 როუსონი (7)

**სელტიკი 6:0 კილმარნოკი**

1:0 სატონი (37), 2:0 ლარსონი (53), 3:0 სატონი (61), 4:0, 5:0, 6:0 ლარსონი (69, 72, 86)

**დანდი იუნაიტედი 2:0 მოზერუელი**

1:0 ისტონი (55), 2:0 ჰამილტონი (62)

**დანფერმლაინი 0:0 სენტ ჯონსტონი**

**სენტ მირენი 1:3 რეინჯერსი**

0:1 ფლო (12), 1:1 ჟილიე (36პ), 1:2 ფლო (44), 1:3 კონტერმანი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 24 | 20 | 3 | 1 | 66:21 | 63 |
| ჰიბერნიანი | 25 | 16 | 6 | 3 | 44:15 | 54 |
| რეინჯერსი | 23 | 16 | 3 | 4 | 50:24 | 51 |
| კილმარნოკი | 24 | 12 | 3 | 9 | 30:32 | 39 |
| ჰართსი | 25 | 9 | 6 | 10 | 37:37 | 33 |
| დანდი | 23 | 8 | 6 | 9 | 34:28 | 30 |
| დანფერმლაინი | 24 | 8 | 6 | 10 | 22:30 | 30 |
| სენტ ჯონსტონი | 25 | 7 | 9 | 9 | 25:35 | 30 |
| მოზერუელი | 24 | 8 | 4 | 12 | 30:38 | 28 |
| აბერდინი | 23 | 4 | 9 | 10 | 24:39 | 21 |
| სენტ მირენი | 24 | 3 | 3 | 18 | 15:48 | 12 |
| დანდი იუნ. | 24 | 2 | 4 | 18 | 16:46 | 10 |

### ასოციაციის თასი

**მეთექვსმეტედფინალის წილისყრა**

სენტ ჯონსტონი — დანფერმლაინი; ბერვიკი ან კოუდენბითი — ჰართსი; ელგინი ან ქუინ ოფ საუთი —ეირდრი; სტირლინგი — რეით როვერსი; კილმარნოკი — პარტიკ თისტლი; ალოა — აბერდინი; როს ქაუნთი — ბაკი თისტლი; არბროთი ან მონტროუზი — დანდი იუნაიტედი; ინვერნეს თისტლი — ეირი; დანდი — ფალკირკი; ჰიბერნიანი — კლაიდბანკი; პიტერჰედი — მორტონი; სტრანრეერი — სელტიკი; ისტ ფაიფი — ლივინგსტონი; გლაზგო რეინჯერსი — ბრეჩინი; სენტ მირენი — მოზერუელი

მატჩები გაიმართება 27-28 იანვარს

## საბერძნეთი

მე-11 ტური: ირაკლისი — ქსანტი 1:0; ოლიმპიაკოსი — იანინა 3:1; პანიონიოსი — კალამატა 1:1; ათინაიკოსი — პაოკ 3:4; არისი — პანაჰაიკი 0:0; იონიკოსი — პანილიაკოსი 3:1; ეთნიკოსი — პანათინაიკოსი 0:3; ოფი — აეკ 3:3

მე-12 ტური: ირაკლისი — ოლიმპიაკოსი 2:1; ქსანტი — ათინაიკოსი 1:0; კალამატა — არისი 1:1; პანაჰაიკი — ოფი 2:1; პანათინაიკოსი — იონიკოსი 4:1; აეკ — პანილიაკოსი 2:1; პაოკ — ეთნიკოსი 2:1; იანინა — პანიონიოსი 2:2

დენვერი 94:87 შარლოტი
ლეიკერსი 95:118 კლიპერსი

8 იანვარი

ბოსტონი 90:98 პორტლენდი
მაიამი 88:78 გოლდენ სტეიტი
კლივლენდი 92:90 ნიუ ჯერსი
ჩიკაგო 91:104 დალასი
კლიპერსი 82:85 ინდიანა
საკრამენტო 100:97 მინესოტა

9 იანვარი

შარლოტი 102:95 ჩიკაგო დ.დ.
ტორონტო 91:110 ჰიუსტონი
ნიუ ჯერსი 87:104 ფილადელფია
ატლანტა 86:95 სიეტლი
ორლანდო 95:112 სან ანტონიო
მილუოკი 99:95 ვაშინგტონი
იუტა 103:99 ინდიანა
ვანკუვერი 105:112 დენვერი

10 იანვარი

ფილადელფია 75:93 პორტლენდი
მინესოტა 86:106 დალასი
საკრამენტო 108:103 კლივლენდი
ბოსტონი 88:76 მაიამი
დეტროიტი 85:110 ტორონტო
ვაშინგტონი 101:104 სიეტლი
კლიპერსი 92:86 დენვერი

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 25 | 9 | 73,5 |
| ნიუ იორკი | 22 | 12 | 64,7 |
| მაიამი | 21 | 16 | 56,8 |
| ორლანდო | 14 | 20 | 41,2 |
| ბოსტონი | 13 | 23 | 36,1 |
| ნიუ ჯერსი | 11 | 24 | 31,4 |
| ვაშინგტონი | 7 | 30 | 18,9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| შარლოტი | 22 | 14 | 61,1 |
| მილუოკი | 19 | 15 | 55,9 |
| კლივლენდი | 17 | 16 | 51,5 |
| ტორონტო | 17 | 18 | 48,6 |
| ინდიანა | 16 | 20 | 44,4 |
| დეტროიტი | 14 | 21 | 40,0 |
| ატლანტა | 12 | 22 | 35,3 |
| ჩიკაგო | 6 | 28 | 17,6 |

### დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 22 | 11 | 66,7 |
| დალასი | 24 | 13 | 64,9 |
| იუტა | 22 | 13 | 62,9 |
| დენვერი | 20 | 16 | 55,6 |
| მინესოტა | 20 | 17 | 54,1 |
| ჰიუსტონი | 17 | 17 | 50,0 |
| ვანკუვერი | 10 | 24 | 29,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 26 | 10 | 72,2 |
| საკრამენტო | 23 | 9 | 71,9 |
| ლეიკერსი | 23 | 11 | 67,6 |
| ფინიქსი | 20 | 12 | 62,5 |
| სიეტლი | 19 | 18 | 51,4 |
| კლიპერსი | 13 | 24 | 35,1 |
| გოლდენ სტეიტი | 11 | 23 | 32,4 |

## საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 9 იანვარი

### A ჯგუფი

ჰაპოელი (ისრაელი) — ქარშიაკა (თურქეთი) 121:90, მარუსი (საბერძნეთი) — შალონი (საფრანგეთი) 70:62, პივოვარნა (სლოვენია) — პამესა (ესპანეთი) 83:91

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 9 | 7 | 2 | 786:752 | 16 |
| მარუსი | 9 | 7 | 2 | 792:724 | 16 |
| შალონი | 9 | 6 | 3 | 632:605 | 15 |
| ჰაპოელი | 9 | 3 | 6 | 771:754 | 12 |
| ქარშიაკა | 9 | 2 | 7 | 749:821 | 11 |
| პივოვარნა | 9 | 2 | 7 | 709:783 | 11 |

### B ჯგუფი

ბეშიქთაში (თურქეთი) — უნიქსი (რუსეთი) 65:85, პორტუ (პორტუგალია) — არისი (საბერძნეთი) 74:73, ზაგრები (ხორვატია) — არკადია (ავსტრია) 0:20

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიქსი | 9 | 7 | 2 | 634:447 | 16 |
| პორტუ | 9 | 7 | 2 | 592:531 | 16 |
| არისი | 9 | 6 | 3 | 556:528 | 15 |
| ბეშიქთაში | 9 | 4 | 5 | 668:691 | 13 |
| არკადია | 9 | 3 | 6 | 601:673 | 12 |
| ზაგრები | 9 | 0 | 9 | 0:180 | 0 |

### C ჯგუფი

კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — საკალაი (ლიტვა) 102:63, კერავნოსი (კვიპროსი) — ტელეკომი (გერმანია) 87:95, რასინგი (საფრანგეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 65:61

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტელეკომი | 9 | 7 | 2 | 788:718 | 16 |
| ცრვენა ზვეზდა | 9 | 5 | 4 | 700:700 | 14 |
| კერავნოსი | 9 | 4 | 5 | 736:768 | 13 |
| სან ფერნანდო | 9 | 4 | 5 | 766:737 | 13 |
| რასინგი | 9 | 4 | 5 | 706:723 | 13 |
| საკალაი | 9 | 3 | 6 | 717:767 | 12 |

### D ჯგუფი

ანვილი (პოლონეთი) — იმოლა (იტალია) 82:51, სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — ბორაცი (ბოსნია) 81:68, ანტვერპენი (ბელგია) — ლუპპა (ფინეთი) 77:58

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ანვილი | 9 | 8 | 1 | 754:695 | 17 |
| ანტვერპენი | 9 | 5 | 4 | 722:698 | 14 |
| სლოვაკოფარმა | 9 | 5 | 4 | 772:750 | 14 |
| ბორაცი | 9 | 4 | 5 | 768:732 | 13 |
| ლუპპა | 9 | 3 | 6 | 711:803 | 12 |
| იმოლა | 9 | 2 | 7 | 733:782 | 11 |

*მეათე ტური გაიმართება 16 იანვარს*

## კორაჩის თასი

ჯგუფური ეტაპი. V ტური. 10 იანვარი

### A ჯგუფი

პროკომი (პოლონეთი) — ოპავა (ჩეხეთი) 86:77, პეკაესი (პოლონეთი) — რიკო (ჰოლანდია) 63:61

*სატურნირო მდგომარეობა: პროკომი 8 ქულა, პეკაესი 8, ოპავა 7, რიკო 7*

### B ჯგუფი

შახტიორი (რუსეთი) — სპარტაკი (რუსეთი) 103:90, ლოკომოტივი (რუსეთი) — ავტოდორი (რუსეთი) 91:96

*სატურნირო მდგომარეობა: ავტოდორი 10 ქულა, ლოკომოტივი 8, შახტიორი 6, სპარტაკი 6*

### C ჯგუფი

დარუშაფაკა (თურქეთი) — ჟელეზნიკი (იუგოსლავია) 79:63, ლევსკი (ბულგარეთი) — ხიმკი (რუსეთი) 104:106

*სატურნირო მდგომარეობა: ხიმკი 8 ქულა, ლევსკი 8, დარუშაფაკა 8, ჟელეზნიკი 6*

### D ჯგუფი

ვოივოდინა (იუგოსლავია) — ტელეკომი (თურქეთი) 88:100, ჰემოფარმი (იუგოსლავია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 76:71

*სატურნირო მდგომარეობა: ფენერბაჰჩე 9 ქულა, ჰემოფარმი 9, ტელეკომი 7, ვოივოდინა 5*

### E ჯგუფი

მონტეკატინი (იტალია) — სლობოდა დიტა (ბოსნია) 93:71, ნიარ ისტი (საბერძნეთი) — მაკაბი (ისრაელი) 72:71

*სატურნირო მდგომარეობა: ნიარ ისტი 9 ქულა, მონტეკატინი 7, სლობოდა დიტა 7, მაკაბი 7*

### F ჯგუფი

ადეკო (შვეიცარია) — ვიოლა (იტალია) 94:111, ტრიესტი (იტალია) — სოლნოკი (უნგრეთი) 102:74

*სატურნირო მდგომარეობა: ვიოლა 10 ქულა, ტრიესტი 7, სოლნოკი 7, ადეკო 6*

### G ჯგუფი

კასერესი (ესპანეთი) — დიჟონი (საფრანგეთი) 77:70, ტელეკომი (პორტუგალია) — ბინგოლი (ბელგია) 92:82

*სატურნირო მდგომარეობა: კასერესი 9 ქულა, დიჟონი 8, ტელეკომი 8, ბინგოლი 5*

### H ჯგუფი

ლე მანი (საფრანგეთი) — უნიკახა (ესპანეთი) 86:112, სტრასბური (საფრანგეთი) — ატლონი (ბელგია) 97:73

*სატურნირო მდგომარეობა: უნიკახა 9 ქულა, ატლონი 8, სტრასბური 7, ლე მანი 6*

*მეექვსე ტური გაიმართება 17 იანვარს*




ლე მანი — მალაგა. დარენ ფილიპმა ლემანელებს ჩაუტენა

## სლოვენია

# სამოსანი ცქიტიშვილი

XIII ტური

ოლიმპია — ტრიგლავი 100:80, კემოპლასტი — ზაგორიე 118:110, კრაშკი ზიდარი — ჰელიოსი 84:70, პივოვარნა — სავინსკი 103:88, კრკა — როგლა 99:70

**ლოკა კავა 71:94 სლოვანი**

**ლოკა კავა:** ივანოვიჩი (18), ბოიოვიჩი (17), ზალეტელი (15), ბოშნიაკი (7), იოკიჩი (6), შუბიჩი (4), კეშელი (2), სავიჩი (2), ჯუკიჩი

**სლოვანი:** ნოვაკი (7), ლაკოვიჩი (13), ჟაკელი (5), უგრეხელიძე (5), ჯურკოვიჩი (9), კოვაჩი (7), პავიჩი (11), ბოისა (2), მარავიჩი (11), კოკალი (15), ცქიტიშვილი (9)

XIV ტური

ზაგორიე — კრკა 62:71, როგლა — ლოკა კავა 102:84, სავინსკი — ოლიმპია 72:91, ტრიგლავი — კრაშკი ზიდარი 76:71, ჰელიოსი — კემოპლასტი 102:81

**სლოვანი 96:77 პივოვარნა**

**სლოვანი:** ნოვაკი (10), ლაკოვიჩი (10), ჟაკელი (2), გრბეშიჩი, უგრეხელიძე (14), ჯურკოვიჩი (4), კოვაჩი (3), პავიჩი (20), მარავიჩი (18), კოკალი (4), ცქიტიშვილი (11)

**პივოვარნა:** ნაკიჩი (23), ლისიცა (16), იურაკი (11), დუშჩაკი (8), უდრიჰი (6), მილეტიჩი (4), ბროლიჰი (3), დრაგშიჩი (2), ერჟენი (2), ოვჩინა (2)

27 დეკემბრიდან დღემდე სლოვენიის ჩემპიონატში ორი ტური გაიმართა, ერთი 2000 წელს, მეორე — 2001 წელს. ქართველებისთვის ყველაზე საინტერესო გუნდმა, ლიუბლიანის „სლოვანმა" ორჯერვე იმარჯვა, ახალ წელსაც კარგ გუნებაზე შეხვდა და არც ნაღდესასწაულევს წაიხდინა ნირი.

მეოცე საუკუნის ბოლო მატჩში „სლოვანი" აუტსაიდერ „ლოკა კავას" ეწვია და მხოლოდ პირველი მეოთხედი დათმო (17:18). მერე ყველაფერი თავის ადგილას დადგა, ლიუბლიანელებმა ჯერ თამაში გაათანაბრეს, მერე საგრძნობი უპირატესობა მოიპოვეს და 23 ქულითაც გაიმარჯვეს. ამ შეხვედრაში ტრავმის მოშუშების შემდეგ „სლოვანში" პირველად გამოჩნდა ქართველი ფორვარდი ვლადიმერ ბოისა. მან 10 წუთი ითამაშა და ერთადერთ ნასროლს კალათში მიუჩინა ადგილი. ვლადიმერმა სამი მოხსნა და ერთი ჩაჭრაც გააკეთა.

ნიკა ცქიტიშვილმა კი სნაიპერული თვისებები გამოავლინა. 17 წლის ქართველმა ორჯერ ესროლა სამქულიანი და ორჯერვე ზუსტად. ამასთანავე ნიკამ ერთხელ ფარქვეშიდან იყოჩაღა, ერთხელაც — საჯარიმო ხაზიდან. ცქიტიშვილმა 24 წუთი ითამაშა და ოთხი მოხსნა მიითვალა.

დავით უგრეხელიძე 18 წუთი იყო მოედანზე, ორი ორქულიანი (ორი სროლიდან) და ერთი საჯარიმო ჩააგდო, გარდა ამისა 5 ბურთი მოხსნა.

ნაახალწლევს „სლოვანს" უფრო მკაცრი გამოცდა ელოდა. იგი შინ დაუხვდა ლაშკოს „პივოვარნას", შარშანდელი ევროლიგის ბინადარს და სლოვენიის ჩემპიონატის ფინალისტს. შეხვედრას დამატებით ინტრიგას ისიც სძენდა, რომ გამარჯვებული ერთპიროვნულად მკვიდრდებოდა მესამე ადგილზე. პირველი მეოთხედი და ტაიმი „პივოვარნამ" მოიგო (24:20, 45:42), მესამე ათწუთეულში კი „სლოვანი" აფეთქდა და ეს მონკვეთი 28:15 მოიგო. ლიუბლიანელებმა არათუ შეინარჩუნეს, არამედ კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა და ამ სეზონში მეორედ მოუგეს ლაშკოელებს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სმილიან პავიჩმა, მარკო მარავიჩმა და დავით უგრეხელიძემ, რომლებიც ახლო და საშუალო მანძილებიდან თითქმის შეუცდომლად ესროდნენ.

„სლოვანის" მწვრთნელი ტომი მაჰორიჩი, ჩანს, მოერიდა ახლად გამოჯამრთელებული ბოისას დატვირთვას და ამ შეხვედრაში არ ათამაშა. ნიკა ცქიტიშვილმა 24 წუთი დაჰყო მოედანზე და ფარქვეშ გაილაღა — ექვსიდან ოთხი სროლა ჩააგდო. ქართველმა ფორვარდმა ოთხი საჯარიმოდან სამი გამოიყენა და ექვსი მოხსნა გააკეთა.

მიუხედავად იმისა, რომ სლოვანს" დაუბრუნდა ტრავმამორჩენილი გამოცდილი ცენტრი პაველ ჯურკოვიჩი, ერთ დროს მისი შემცვლელის, დავით უგრეხელიძის პოზიციები ამით არ შერყეულა. ქართველი კალათბურთელი და ჯურკოვიჩი დაახლოებით თანაბარ დროს თამაშობენ, ამ შეხვედრაში კი უგრეხელიძეს მეტხანს მოუწია ოფლის ღვრამ — 16 წუთი (ჯურკოვიჩს — 9 წუთი). დათომ საიმედოდ გაამაგრა ცენტრი და ცხრა ნასროლიდან ექვსი ჩააგდო, ორი საჯარიმოც ზუსტად გამოიყენა. უგრეხელიძემ ხუთი მოხსნა და თითო პას-ჩაჭრა-დაფარებაც გააკეთა და, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის გუნდში.

ამ გამარჯვების „სლოვანი" ერთპიროვნულად დაფუძნდა მესამე ადგილზე და პრაქტიკულად გაინაღდა ადგილი ფინალურ ექვსეულში. მომდევნო ტურში მისი მეტოქეა ლიუბლიანის „ოლიმპია", წლების განმავლობაში სლოვენიური კალათბურთის ფლაგმანი, ხოლო ამჟამად — ჩემპიონატში წაუგებლად მოასპარეზე ნოვო მესტოს „კრკას" ჩრდილში მოქცეული.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კრკა | 14 | 14 | 0 | 1213:1002 | 28 |
| ოლიმპია | 14 | 13 | 1 | 1297:934 | 27 |
| სლოვანი | 14 | 10 | 4 | 1158:1053 | 24 |
| პივოვარნა | 14 | 9 | 5 | 1249:1141 | 23 |
| კრაშკი ზიდარი | 14 | 8 | 6 | 1082:1126 | 22 |
| როგლა | 14 | 6 | 8 | 1155:1204 | 20 |
| ტრიგლავი | 14 | 5 | 9 | 1054:1145 | 19 |
| სავინსკი | 14 | 5 | 9 | 1143:1261 | 19 |
| კემოპლასტი | 14 | 4 | 10 | 1233:1275 | 18 |
| ჰელიოსი | 14 | 4 | 10 | 1111:1191 | 18 |
| ზაგორიე | 14 | 3 | 11 | 1087:1257 | 17 |
| ლოკა კავა | 14 | 3 | 11 | 1070:1263 | 17 |

## თურქეთი

XI ტური

ბეშიქთაში — ტელეკომი 77:87, ბუიუქ კოლეჯი — ანტბირლიკი 95:86, ფენერბაჰჩე — მაიდენოსი 70:61, ქარშიაკა — გალათასარაი 75:70, ქომბასანი — ტროი 89:94, ალთაი — ეფესი გადაიდო

**დარუშაფაკა 76:73 ულქერი**

**დარუშაფაკა:** ქორუქი, ექიმი (6), როჯერსი (16), ქოშეოღლუ (8), ჯენსენი (15), კაპიაოღლუ (3), მალა (13), ოკუნსკი (15)

**ულქერი:** ლოლისი (10), ერდოგანი (9), შენდლოგტენი (25), გოლიოვიჩი (14), ერდენაი (6), აჩიკი, გონლუმი, ილდირიმი (9)

XII ტური

გალათასარაი — მაიდენოსი 81:60, ანტბირლიკი — ალთაი 80:78, ბუიუქ კოლეჯი — ქარშიაკა 75:76, ეფესი — დარუშაფაკა 62:70, ტროი — ფენერბაჰჩე 91:82, ტელეკომი — ქომბასანი 106:76

**ბეშიქთაში 104:108 ულქერი**

**ბეშიქთაში:** ერიუზი, მ. გიულერი (16), ფ. ბეშოქი (7), ვ. აიდინი (10), ვულრიჯი (26), ელი (21), მეშჩერიაკოვი (16), ტაში (1), ო. აიდინი (6)

**ულქერი:** ლოლისი (21), ერდოგანი (10), შენდლოგტენი (21), გოლიოვიჩი (9), ერდენაი (26), ო. გიულერი, აჩიკი (5), გონლუმი (2), ილდირიმი (14), სარიჯა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დარუშაფაკა | 12 | 10 | 2 | 967:901 | 22 |
| ულქერი | 12 | 10 | 2 | 1029:888 | 22 |
| ტელეკომი | 12 | 9 | 3 | 1006:885 | 21 |
| ბეშიქთაში | 12 | 8 | 4 | 1045:974 | 20 |
| ეფესი | 11 | 8 | 3 | 905:830 | 19 |
| ტროი | 12 | 7 | 5 | 1042:1014 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 12 | 7 | 5 | 941:901 | 19 |
| ქარშიაკა | 12 | 5 | 7 | 1030:1034 | 17 |
| ქომბასანი | 12 | 5 | 7 | 939:1029 | 17 |
| მაიდენოსი | 12 | 4 | 8 | 916:948 | 16 |
| ანტბირლიკი | 12 | 3 | 9 | 941:1129 | 15 |
| გალათასარაი | 12 | 3 | 9 | 908:968 | 15 |
| ბუიუქ კოლეჯი | 12 | 2 | 10 | 947:1017 | 14 |
| ალთაი | 11 | 2 | 9 | 833:941 | 13 |

# ამას ველოდით...

**უხეიროდ** დაიწყო ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა. ჩვენმა ბიჭებმა ანკარაში ორივე თამაში წააგეს.

სხვა შედეგი არც იყო მოსალოდნელი — თურქები ჯგუფის ფავორიტებად ითვლებოდნენ, თანაც ჩვენებურებმა ორივე მატჩი მეტოქის მოედანზე გამართეს. ქართველთაგან ყველაზე შედეგიანი იყო იუგოსლავიის „მეტალოპლასტიკაში“ მოთამაშე სერგო დათუკაშვილი — 196 სმ სიმაღლის ფორვარდმა ორ შეხვედრაში 17(7+10) გოლი გაიტანა.

ჩვენიანებთან ერთად მოასპარეზე ბოსნიამ და საბერძნეთმა კი ქულები თანაბრად გაიყვეს. სტუმრად რვაბურთიანი მარცხის შემდეგ ბოსნიელებმა საკუთარ მოედანზე უფრო დამაჯერებელი რევანში აიღეს და ჯგუფიდან გასვლის მშვენიერი შანსიც მიეცათ.

საქართველოს ნაკრებმა თურქეთიდან საბერძნეთში გადაინაცვლა, სადაც მომდევნო ორ შეხვედრას გამართავს.

**თურქეთი — საქართველო 28:16 (13:11)**
**თურქეთი — საქართველო 26:24 (14:11)**
**საბერძნეთი — ბოსნია 29:21 (14:8)**
**ბოსნია — საბერძნეთი 29:19 (17:9)**

სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 0 | 0 | 54:40 | 4 |
| ბოსნია | 1 | 0 | 1 | 50:48 | 2 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 48:50 | 2 |
| საქართველო | 0 | 0 | 2 | 40:54 | 0 |

# ოქროსთაობელი

ხელბურთის რომელ სტაჟიან გულშემატკივარს არ ეხსომება თბილისის „ბურევესტნიკის“ „დიდი გუნდი“. ჯემალ ცერცვაძის, თამაზ ანთაძისა და მათი პარტნიორების ოსტატობას ალტაცებაში მოჰყავდა ათასობით მაყურებელი. ერთ-ერთი გამორჩეულთაგანი ანზორ ექსეულიძეც გახლდათ — გუნდში ყველაზე ტანმაღალი და, როგორც ამბობდნენ, ყველაზე ელეგანტური მოთამაშე.

ხელბურთს, იმხანად სპორტის ახალ სახეობას, „კექსიკა“ 1960 წელს „აზიარა“ ბავშვობის მეგობარმა ჯემალ ცერცვაძემ. ორივე უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა. ანზორი სპორტზე არც კი ფიქრობდა, გიტარაზე დაკვრა და სიმღერა უფრო აინტერესებდა, მაგრამ მეგობრის დაჟინებამ გაჭრა და ისიც ჯერ ინსტიტუტის, მერე კი „ბურევესტნიკის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა.

გამორჩეული იყო ექსეულიძის — ხაზის მოთამაშის ორიგინალური ხელწერა: ბურთს ოსტატურად „მალავდა“ და ეფექტურ ნახტომში, ლამის იატაკზე გართხმული ახერხებდა მეტოქის კარში მორიგი გოლის გატანას.

ბატონმა ანზორმა იმ პირველი თაობის „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში ორჯერ უმაღლეს წარმატებას მიაღწია — 1962 და 64 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, კიდევ ოთხჯერ კი პრიზიორი გახდა. ორ „ოქროს სეზონში“ 38 ბურთი გაიტანა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთო წარმატებაში. მისი ჩინებული მონაცემები, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენილა და რამდენიმე წელი საკავშირო ნაკრებშიც ითამაშა, იყო 1967 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე.

საუკეთესო პიროვნული თვისებებითაც გამოირჩეოდა — იყო უბრალო, გულითადი, იუმორის გრძნობით სავსე.

15 წელს იცავდა ანზორ ექსეულიძე „ბურევესტნიკის“ ღირსებას, შემდეგ კარგა ხანს მწვრთნელადაც იმუშავა.

ბატონი ანზორი 61 წლისა გამოეთხოვა წუთისოფელს, მეოთხე იმ „ოქროს გუნდის“ შემადგენლობიდან ჯემალ აბაიშვილის, ლერი კარტოზიას და ალექსანდრე ხუციშვილის შემდეგ.





# დამშვიდობება ავსტრალიურად



პატრიკ რაფტერი

**აშშ-ის** ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი პატრიკ რაფტერი ორი კვირის წინ 28 წლის შესრულდა და მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო ასაკს ჯერ ბევრი უკლია, სეზონის ბოლოს, ალბათ, დიდი სპორტიდან წავა.

„ამაზე უკვე ორი წელია, ვფიქრობ. ყოველთვის მსურდა, ცოტათი მაინც დამემუხრუჭებინა, რადგან მუდმივმა მოგზაურობებმა სიქა გამაცალა. ძალიან ძნელია სულ სასტუმროებში ყოფნა, თვითმფრინავების რეისების ლოდინი, ერთი ქვეყნიდან მეორეში ფრენა და ყოველდღიურად თამაში. ამას მარტო დიდი ზეწოლა და სტრესი კი არა, საშინელი დაღლილობაც მოსდევს, სურვილი მიჩნდება, ჩოგბურთის გარდა სხვა რამაც ნახო ცხოვრებაში“ — განუცხადა ოთხშაბათს მელბურნში მყოფმა სუპერსვარსკვლავმა ჟურნალისტებს.

რაფტერმა, რომელიც მაყურებელთა შორის პოპულარობით ანდრე აგასის თუ ჩამორჩება, შარშან მხრის უმძიმესი ტრავმა მოირჩინა და უიმბლდონის ფინალში გააღწია. ამჟამად ის მშობლიური დიდი სლემის ტურნირის, ავსტრალიის ღია პირველობისთვის ემზადება, სადაც მუდამ უიღბლოდ თამაშობდა.

„თანამემამულეებს მინდა ვუთხრა, რომ მათ წინაშე უკანასკნელად ვთამაშობ. თუმცა იმედი მაქვს, დევისის თასზე თავს არ შევირცხვენთ და დეკემბერში ფინალში შევძლებ მათთან დამშვიდობებას“.

წლეულს რაფტერი სრული განრიგით, დიდი შესვენებების გარეშე აპირებს ასპარეზობას. მისი გადაწყვეტილებაც პენსიაზე გასვლის შესახებ ჯერჯერობით საბოლოო არ არის და სეზონის ბოლოს ეგებ გადათქვას კიდეც.

„ბევრი მეუბნება, რა დროს კარიერის დასასრულზე ფიქრიაო, დევისის თასის გუნდის ახალი კაპიტანი ჯონ ფიცჯერალდიც მთხოვს, ნაკრების გულისთვის დავრჩე. ვნახოთ, საბოლოო სიტყვა ისევ ჩემზე იქნება“.

# მშვიდობიანი ბრძოლა



ბორის ბეკერი ადვოკატების ალყაში

**ბორის ბეკერისა** და მისი შავკანიანი, აწ უკვე პრაქტიკულად ყოფილი მეუღლის, ბარბარა ფელტუსის საგანქორწინებო შეხლა-შემოხლა დასასრულს უახლოვდება. დავამ აპოგეას ახალი წლის პირველ დღეებში, სასამართლო განხილვის დროს მიაღწია, თუმცა სულ მალე ყველაფერი მშვიდობიანი და ცივილიზებული გზით უნდა მოგვარდეს.

მაიამიში დაწყებულ პროცესზე თავდაპირველად ბეკერის ადვოკატები ძალიან მიედ-მოედვნენ: აქაოდა, ბარბარამ ორი შვილი (6 წლის ნოა და 1 წლის ელიასი) საერთაშორისო სამართლის კანონების დარღვევით გაიტაცა გერმანიიდან, ეს სასამართლო გარჩევა მიუნხენში უნდა მოეწყოს და არა ფლორიდაში, თანაც დახურული და საზოგადოებისთვის მიუწვდომელი უნდა იყოსო, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა, მოსამართლე მეინარდ გროსმა უშფოთველად უარყო ყველა მოთხოვნა.

მაშინ უიმბლდონის სამგზის ჩემპიონის ბანაკმა ტკბილი სიტყვით სცადა განდგომილი ბარბარას გულის მოგება და სასამართლოს გარეთ პირადი გარიგება შესთავაზა. მის მიხედვით, ყოფილი მომღერალი და მსახიობი 15 მილიონ მარკას (დაახლოებით 7 მილიონი დოლარი) და მაიამიში მდებარე შესანიშნავ ვილას მიიღებს, ორივე შვილიც მასთან დარჩება და მათი დაცვა-განათლებისთვის საჭირო ყველა ხარჯს ბეკერი გაიღებს.

ბუმ-ბუმ ბორისს, რომლის ქონება 100 მილიონ დოლარზე მეტადაა შეფასებული, ძალიან ეშინია, ბავშვები ვინმემ გამოსასყიდის მიღების მიზნით არ მოსტაცოს, ამიტომ მათთვის 24-საათიანი დაცვის მოწყობა სურს. მან განქორწინების პირობებს ხელი უკვე მოაწერა და ახლა საქმის საბოლოოდ ჩაფარცხვისთვის მხოლოდ ბარბარას თანხმობაა საჭირო.

თუ ყველაფერი უახლოეს დღეებში მოგვარდა, ბორისი 18 იანვარს უფროსი ვაჟიშვილის დაბადების დღესაც დაესწრება და სუფრასთან ხელჩართული ბრძოლის შიშიც აღარ ექნება.

# ტკბილი კვირა

დოჰა. კატარის ღია პირველობა. რიბაუნდ ეისი.
საპრიზო 1 მილიონი $

**მეოთხედფინალი: ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) 1:6, 7:6 (7:5), 6:4; ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — ნიკოლას კიფერი (2, გერმანია) 6:2, 6:1; მარსელო რიოსი (ჩილე) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 7:6 (7:4), 7:5; ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:1**

**ნახევარფინალი: რიოსი — ვოლჩკოვი 6:1, 6:3; ულირახი — ესკუდე 3:6, 7:5, 7:6 (9:7)**

**ფინალი: რიოსი — ულირახი 6:3, 2:6, 6:3**

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მარსელო რიოსმა გასული წელი რიხიანად — 26 დეკემბერს ქორწინებით დაასრულა და ახალიც ასევე დაიწყო — პირველივე კვირაში ტიტული მოიგო.

„ჩემმა მეუღლემ კვირის დასაწყისში მიწინასწარმეტყველა, ჩემპიონი გახდებიო. მის სიტყვებში ეჭვის შეტანა არ მსურდა და აჰა, გავუმართლე კიდეც. ქორწილი, ტიტული, ახალი კლასიფიკაციის პირველი ადგილი, მეტი რაღა უნდა ვისურვო“ — განაცხადა კიკინიანმა ჩილელმა, რომელსაც თავისი ტურფისთვის საჩუქრებზე დასახარჯად 137 ათასი დოლარი ერგო.

პერტი. ავსტრალია. „ჰოპმანის თასი“. რიბაუნდ ეისი.
საპრიზო 800 ათასი $

**ფინალი**

**შვეიცარია 2:1 აშშ**

**მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — მონიკა სელეში (აშშ) 7:5, 6:4; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:3; სელეში და გემბილი — ჰინგისი და ფედერერი 6:2, 4:6, 6:1**

„ჰოპმანის თასზე“, იგივე არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატზე შერეულ წყვილებში ფავორიტებად თავიდანვე შვეიცარიელები ითვლებოდნენ. 20 წლის მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა და 19 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა როჯერ ფედერერმა მართლაც ყველა მეტოქე იოლად შემუსრეს და თავიანთი შეძენილი სამშობლოს (ჰინგისი ჩეხური წარმოშობისაა, ფედერერი — სამხრეთაფრიკული) სახელით გამარჯვებაც მოიპოვეს.

ჩემპიონებს 240 ათასი მწვანე და ბრილიანტებით მოოჭვილი, 25 ათასდოლარიანი ჩოგბურთის ბურთები ერგოთ. ჰინგისის კოლექციას კი ახლა მხოლოდ საფრანგეთის ღია პირველობისა და ფედერაციის თასის ტიტულები აკლია — ყველა სხვა მნიშვნელოვანი პროფესიული ტურნირი მარტინას უკვე მოგებული აქვს.

**ავთანდილ სვანიძე**



როჯერ ფედერერი და მარტინა ჰინგისი

# გიორგი ასანიძემ საუკუნე გაასრულა

## გამოკითხვა ტრადიციული, ლხინი ზომიერი

**გავა წლები** და საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენებს კიდევ უფრო დიდი ზარ-ზეიმით დააჯილდოვებენ. ალბათ, იმ ცერემონიალზე მოხვედრა მხოლოდ ძვირფას სმოკინგიანებს შეეძლებათ. მოვლენის პირდაპირ რეპორტაჟს ექსკლუზიური უფლების მქონე ერთი ტელეკომპანია მოაწყობს, გულდაწყვეტილი დანარჩენები კი რამდენიმეწუთიანი მიმოხილვებით შემოიფარგლებიან...

წლების წინ საქართველო სულ არ არსებობდა. იყო რაღაც გაუგებარი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც დიდი სპორტსმენები ჰყავდა, მათ შორის საუკეთესოთა გამოკითხვასაც ატარებდა, მაგრამ ეს ყველაფერი პარტიული ამხანაგების და ამხანაგობის ჩარჩოებით ჩაზერგილი შრომის წითელ დროშაში იყო დამალული. მაშინ სიტყვების, ექსკლუზიურისა და სმოკინგის ხსენებაზე იჭერდნენ...

ახლახან, 29 დეკემბერს, საუკუნეთა გასაყარზე კი „შერატონ პალას ოტელში", ზემოთ ნახსენები საქართველოებისგან განსხვავებული, იმავე სახელწოდების ქვეყნის 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ზომიერად პომპეზური, ზომიერად შინაური, მეგობრული და სასიამოვნო ცერემონიალი გაიმართა. იგი სპონსორმეცენატთა შემწეობით საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ მოაწყო. მასზე მეტი, უკვე პრანჭიაობა იქნებოდა, ნაკლები უკმარისობის გრძნობას დატოვებდა...

დარბაზში ნაძვის ხე იდგა, დანომრილი ბუშტებით მორთული. სცენაზე, სადაც მთელი საღამოს მანძილზე სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი და წამყვანი ჯემალ მონიავა იდგნენ, რიგრიგობით აჰქონდათ ნაძვის ხიდან ჩამოხსნილი ბუშტი. ჯერ მეათე, მერე მეცხრე და ასე შემდეგ. თითოეულ ბუშტში იყო ქაღალდი იმ სპორტსმენის გვარ-სახელით, რომელმაც ათეულში ბუშტის ნომრის შესაბამისი ადგილი დაიკავა.

10 ნინო ხურციძე
9 ლევან კობიაშვილი
8 კახა კალაძე
7 ემზარ ბედინეიშვილი
6 ვლადიმერ ჭანტურია
5 მუხრან ვახტანგაძე
4 ელდარ კურტანიძე
3 აკაკი ჩაჩუა
2 გიორგი ვაზაგაშვილი
1 გიორგი ასანიძე

სპორტსმენთა გარდა ასოციაციამ სპორტზე მწერალ ჟურნალისტებსაც გადასცა ტრადიციული ჯილდოები. დავით კაკაბიძის სახელობის პრემია ღვაწმოსილ ქალბატონს ცისანა ნიკოლაიშვილს ერგო, ნოდარ გუგუშვილის სახელობისა კი გაზეთ „დროის" მიმომხილველს გია ტუხაშვილს.

ქართული სიმღერებით შეზავებულ საღამოზე სახელმწიფო ჯილდოებიც დარიგდა. ვახტანგ გორგასლის სახელობის მესამე ხარისხის ორდენები გადაეცათ ოლიმპიელებს — გიორგი ასანიძეს, გიორგი ვაზაგაშვილს და ელდარ კურტანიძეს, ხოლო ღირსების ორდენი აკაკი ჩაჩუას, ვლადიმერ ჭანტურიას და მუხრან ვახტანგაძეს. ღირსების ორდენით დაუფასდათ ღვაწლი ჟურნალისტებს შალვა ქირიასა და ირაკლი ბერიაშვილსაც.

ათი წლის „სარბიელს" ჟურნალისტთა ასოციაციამ, ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტის დეპარტამენტმა სამახსოვრო სიგელები უძღვნეს.

ცერემონიალი ფორმალურმა თუ არაფორმალურმა სადღეგრძელოებმა და ვიქტორინამაც გაალამაზა და დატოვა იმედი, რომ წლების შემდეგ მდიდარი და ლაღი საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებს კიდევ უფრო დიდი, დროის შესაბამისი ზარ-ზეიმით დააჯილდოვებენ.

**ილია გაბუნაშვილი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



საქართველოს 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენებმა საახალწლო ნაძვის ხესთანაც მოილხინეს



გიორგი ასანიძე ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს



საუკეთესოთა ათეულის ერთი ქალბატონი — ნინო ხურციძე




მიხეილ კაკაბაძის პრემია ამაგდარმა ქალბატონმა ცისანა ნიკოლაიშვილმა მიიღო, ნოდარ გუგუშვილის პრემია კი გია ტუხაშვილს ბატონი ნოდარის მეუღლემ, ქალბატონმა მედეა გოცირიძემ გადასცა



საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებს ჯანო და ლიზიკო ბაგრატიონებმა უმღერეს





გიორგი ასანიძემ ჭიქა აიტაცა, აჭყრა და გადაჰკრა

### გმადლობთ!

საქართველოს 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალის და საახალწლო ბანკეტის მოწყობაში შეტანილი წვლილისათვის მადლობას ვუხდით გენერალურ სპონსორს — კომპანია „ჯეოსელს", სპონსორებსა და პარტნიორებს — სააქციო საზოგადოება „ქართულ შაქარს", „იბერკომპანიას", შპს „ყაზბეგს", სამორინე „აჭარას", შპს „გეორგიას", GWS, სს „სარაჯიშვილს", სადაზღვევო კომპანია „იმედს", „შერატონ პალასს", ანსამბლ „რუსთავს", ქალბატონ ლიზიკო ბაგრატიონს, ბატონებს — ანზორ ერქომაიშვილს, გია ჯაფარიძეს, თამაზ გეგეშიძეს, სუპერმარკეტ „ზემელს".

**ელგუჯა ბერიშვილი**

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა







სუპერმარიოს ნახვის მსურველნი „მელონ არენამაც" ვერ დაიტია

10 იანვარი

**კოლუმბუსი — კოლორადო 2:4**

1:1 0:3 1:0

0:1 ფორსბერგი 1'36 (14); 1:1 სანდერსონი 13'19 (16); 1:2 დრური 30'33 (11); 1:3 დედმარში 32'39 (6); 1:4 საკიკი 38'00 (24); 2:4 გარდინერი 43'18 (3)

**ატლანტა — დალასი 2:3**

0:1 2:2 0:0

0:1 ჰალი 15'16 (23); 1:1 ოდეტი 22'45 (22); 1:2 ჰალი 24'33 (24); 1:3 მოროუ 26'40 (10); 2:3 ფერარო 37'36 (16)

**მონრეალი — ბოსტონი 1:2**

0:0 0:1 1:1

0:1 ტორნტონი 36'07 (13); 0:2 სუინი 44'57 (1); 1:2 აშამი 49'45 (1).

**ტორონტო — ტამპა 1:3**

0:2 1:0 0:1

0:1 რ. ჯონსონი 5'44 (5); 0:2 ჰოლცინგერი 19'48 (8); 1:2 კოროლიოვი 22'42 (7); 1:3 მოდინი 59'58 (20).

**მინესოტა — ვაშინგტონი 3:0**

1:0 1:0 1:0

1:0 გეივი 12'30 (5); 2:0 პელერინი 31'08 (7); 3:0 რესტი 42'34 (4).

**ნიუ ჯერსი — ფინიქსი 5:1**

1:1 3:0 1:0

1:0 ჰოლიკი 1'17 (7); 1:1 ალატალო 1'53 (5); 2:1 ჰოლიკი 28'21 (8); 3:1 მოგილნი 30'07 (20); 4:1 მოგილნი 36'27 (21); 5:1 სიკორა 50'51 (12).

**ედმონტონი — ნეშვილი 2:5**

0:1 1:0 1:4

0:1 უოკერი 18'06 (15); 1:1 პოტი 26'58 (6); 1:2 არხიპოვი 41'39 (1); 2:2 ჯ. სმიტი 48'09 (4); 2:3 ვალიჩევიჩი 50'33 (4); 2:4 ჩიზარი 56'13 (5); 2:5 ფიცჯერალდი 58'28 (5).

**ვანკუვერი — ოტავა 1:5**

1:0 0:3 0:2

1:0 დრაკენი 19'59 (8); 1:1 მაკიჩერნი 20'33 (11); 1:2 არვედსონი 30'58 (11); 1:3 არვედსონი 34'25 (12); 1:4 მაკიჩერნი 46'30 (12); 1:5 იაშინი 48'25 (14).

**ანაჰაიმი — სენტ ლუისი 2:4**

1:1 0:1 1:2

1:0 ჰაველიდი 4'37 (4); 1:1 მაკინისი 12'34 (9); 1:2 ტარჯონი 30'00 (19); 1:3 სალვადორი 43'43 (2); 2:3 სელიანე 45'54 (15); 2:4 ნეში 50'22 (7).

# მარიობა პიტსბურგში

## ლემიეს დაბრუნებამ პინგვინები ააფრინა

გენიალური, შეუდარებელი, ჯადოსნური — კიდევ რა სიტყვებით შეიძლება აღწერო ის სასწაული, რასაც მარიო ლემიეს დაბრუნება ჰქვია. ალბათ, თავად ჰოკეისტიც ვერ წარმოიდგენდა, რომ სამწელიწადნახევრის შემდეგ კვლავ გაიბრწყინებდა ყინულზე. მართალია, მარიო აცხადებდა, რომ თავს ბევრად უკეთ გრძნობდა, ვიდრე 1997 წელს, როცა ტრავმებმა ჰოკეის თითქმის სამუდამოდ ჩამოაშორა, მაგრამ მისი მეორედ მოსვლისა ალარავის სჯეროდა. თუმცა სჯობს თანამიმდევრობით მივყვეთ.

27 დეკემბერი. პიტსბურგი — ტორონტო. ლემიეს პირველი თამაში და უკვე 33-ე წამზე მისი პასით იარომირ იაგრი ხეირობს. გადის კიდევ 30 წუთი, და ახლა უკვე თავად მარიოს უკრავს ტაშს პირთამდე სავსე „მელონ არენა". ასისტენტი, ცხადია, იაგრია. შემდეგ ორი ვარსკვლავის დახმარებით მათთან შეამხანაგებული იან ჰრდინაც ყოჩაღობს და საბოლოოდ — 5:0. ამ სამეულის ანგარიშზე 9 ქულაა, აქედან 3 მარიოსია (გოლი და 2 პასი).

30 დეკემბერი. პიტსბურგი — ოტავა 5:3. ამჯერად პიტსბურგი გაცილებით სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ მეორე პერიოდის შუაგულიდან (ამ მომენტისთვის მასპინძლები 1:3 აგებდნენ) ლემიე და იაგრი საქმეს შეუდგნენ. ორჯერ მარიოს გამოზომილი პასი ჩეხმა გამოიყენა, ბოლოს კი თავად ლემიემ დასვა წერტილი ცარიელ კარში გატანილი გოლით. ჯამში მას 4(1+3) ქულა დაუგროვდა, კარიერაში 1500-ე ქულა მიითვალა, მისმა პარტნიორმა კი — მე-1000.

3 იანვარი. პიტსბურგს ვაშინგტონი სტუმრობს. კვლავ უშელავათო ბრძოლა და ლემიეს გაბრწყინება. თავისი მე-3 შაიბით სუპერმარიო ანგარიშს ხსნის, შემდეგ იაგრს აძლევს გამარჯვების გოლის გატანის შანსს. პიტსბურგი 3:2 იგებს.

ამას კიდევ სამი მატჩი მოჰყვა. მართალია, პიტსბურგმა ორი დათმო, მაგრამ მარიო კვლავ შეუდარებელი იყო. მისი გოლისა და 2 პასის წყალობით „პინგვინებმა" მონრეალთან შეხვედრაში ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს (3:4), 2 პასით ლემიემ ვაშინგტონის 5:3 ძლევამიც შეიტანა წვლილი და ბოლოს ბოსტონთან 2:5 წაგებულ თამაშში 2 შაიბაც გაიტანა. 6 გოლი და 10 პასი — აი, მისი მონაგარი 6 ჩატარებულ მატჩში, თუმცა სტატისტიკური მონაცემები როდია მთავარი. ლემიემ დაამტკიცა, რომ რა დროსაც არ უნდა წავიდეს სპორტიდან, მაინც ლეგენდარულ ჰოკეისტად რჩება. იმასაც არ უშინდება, რომ ტრავმებით გაწამებულს არავინ ერიდება და ბორტზე მისანარცხებლადაც იოლად იმეტებენ. თუნდაც ვაშინგტონთან პირველ შეხვედრაში, კენ კლი მთელი 60 წუთის განმავლობაში აჩრდილივით დასდევდა მას, თუმცა წამიერი შეყოვნება იმად დაუჯდა, რომ ლემიემ ფენომენალური პასით იაგრი მოამარაგა. ერთი რამ კი განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. მარიოს დაბრუნებამ თითქოსდა ფრთები შეასხა მთელ პიტსბურგს და მეტადრე იაგრის. სწორედ ლემიეს დამსახურებაა, რომ ეს დუეტი ძველებურად ათამაშდა და ჩეხი ჰოკეისტიც ჩვეული სახით წარმოჩნდა.

ლემიეს დაბრუნებამ არა მარტო პიტსბურგის, არამედ ყველა გუნდის სარბიელი პირთამდე შეავსო. თამაშები უფრო თვალსასეირო გახდა, ტელეარხებიც გაცილებით მეტ დროს უთმობენ ჰოკეის გაშუქებას, მარიოსთან გაჯიბრების მსურველებსაც სტიმული მიეცათ. გავიდა უამრავი გოლი, შესრულდა არაერთი ჰეთ თრიქი, რომელთა ავტორებიც გახდნენ ვაშინგტონელი პეტერ ბონდრა (ოტავასთან), ოტაველი სერგეი იაშინი (მონრეალთან), ვანკუვერელი ტოდ ბერტუცი (სან ხოსესთან), პიტსბურგელი მარტინ სტრაკა (ვაშინგტონთან), ბოსტონელი ანდრეი კოვალენკო (პიტსბურგთან). 4(2+2) ქულა მიითვალა ჩიკაგოელმა მიქაელ ნიულანდერმა ვანკუვერთან შეხვედრაში. ბოლო 13 მატჩში კვლავ შეახსენა თავი ქომაგებს ოდესღაც მრისხანე გოლეადორმა ალექსანდრ მოგილნიმ. მან 14 შაიბა გაიტანა. თავის საუკეთესო სეზონს ატარებს კოლორადოელი ჯო საკიკი, რომელიც 58 ქულით ბომბარდირთა სიას ლიდერობს და რეინჯერსელ ტეო ფლერის ორით უსწრებს. ლოს ანჯელესთან 6:2 მოგებულ მატჩში მან 5(2+3) ქულით საკუთარი რეკორდი გაიმეორა. ოტაველებმა — რადეკ ბონკმა და მარიან ჰოსამ კი ტამპასთან შეხვედრაში ნამდვილი ფოიერვერკი მოაწყვეს. პირველმა 3 გოლს 3 პასი დაამატა, მეორე კი 5 შედეგიანი გადაცემით გამოირჩა. მოკლედ, ფორვარდებმა 80-90-იანი წლები მოგვაგონეს, როცა ლიგაში შემტევი ჰოკეი ბატონობდა.

ამასობაში გუნდებს საპლეიოფო პრობლემები აქვთ მოსაგვარებელი. როგორც ჩანს, ეს ძალიან გაუჭირდება ლიგის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ, მაგრამ უთავბოლო კლუბ რეინჯერსს. ნიუიორკელებმა 6 მატჩში მხოლოდ ერთი ქულა მიითვალეს, რითაც თავიანთი შანსი მინიმუმამდე შეამცირეს. ამჟამად ისინი კონფერენციის მერვე გუნდ ბოსტონს 7 ქულით ჩამორჩებიან. ცუდად აქვს საქმე აილენდერსსაც (7 წაგება 8 მატჩში). ტორონტო კი ამდენივე თამაშში 6-ჯერ დამარცხდა, მაგრამ მისი პოზიცია მაინც საკმაოდ მყარია. მოულოდნელი იყო სენტ ლუისის სამი წაგებაც 9 მატჩში, თუმცა „ბლუზმენებმა" ამასთანავე ხუთჯერ მოიგეს. ყველაზე ნაყოფიერად კი ეს მონაკვეთი კოლორადომ (+4=1-1), დალასმა (+5=0-2), ბოსტონმა და განსაკუთრებით ნიუ ჯერსიმ (11 ქულა 7 მატჩში) ჩაატარეს. „დათვებს" აშკარად დაეტყოთ მაიკ კინენის ხელი, ისინი 4 მოგების შემდეგ სეზონში პირველად მოხვდნენ აღმოსავლეთის რვა საუკეთესო გუნდს შორის.

ფლორიდაში უქმად დაკარგული ნახევარი წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა დეტროიტს იგორ ლარიონოვი. 40 წლის პლეიმეიკერმა, რომელმაც თავისი საუკეთესო წლები სწორედ „წითელფრთიანთა" რიგებში გაატარა, „პანტერების" თავკაცობასთან საერთო ენა ვერ გამონახა და გუნდის ლიდერ პაველ ბურესთანაც ვერ ააწყო თამაში. დეტროიტში ჩატარებულ პირველივე მატჩში კი გოლითა და პასით გამოირჩა.

**სამველ ლარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ოტავა | 41 | 23 | 6 | 0 | 12 | 132:97 | 52 |
| ტორონტო | 43 | 20 | 6 | 3 | 14 | 133:109 | 49 |
| ბუფალო | 41 | 21 | 5 | 1 | 14 | 111:99 | 48 |
| ბოსტონი | 43 | 16 | 6 | 4 | 17 | 107:131 | 42 |
| მონრეალი | 43 | 12 | 4 | 2 | 25 | 104:128 | 30 |
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 41 | 22 | 8 | 0 | 11 | 140:97 | 52 |
| ფილადელფია | 42 | 19 | 9 | 0 | 14 | 119:117 | 47 |
| პიტსბურგი | 42 | 19 | 6 | 1 | 16 | 126:127 | 45 |
| რეინჯერსი | 42 | 16 | 2 | 1 | 23 | 136:156 | 35 |
| აილენდერსი | 42 | 11 | 4 | 2 | 25 | 93:133 | 28 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ვაშინგტონი | 44 | 19 | 8 | 1 | 16 | 115:112 | 47 |
| კაროლინა | 40 | 17 | 5 | 2 | 16 | 100:110 | 41 |
| ატლანტა | 42 | 15 | 8 | 1 | 18 | 120:139 | 39 |
| ტამპა | 41 | 13 | 5 | 2 | 21 | 110:143 | 33 |
| ფლორიდა | 42 | 8 | 7 | 6 | 21 | 92:129 | 29 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 40 | 28 | 4 | 1 | 7 | 141:81 | 61 |
| დეტროიტი | 45 | 24 | 4 | 4 | 13 | 131:117 | 56 |
| ნეშვილი | 44 | 16 | 7 | 1 | 20 | 99:115 | 40 |
| ჩიკაგო | 42 | 17 | 3 | 2 | 20 | 115:121 | 39 |
| კოლუმბუსი | 44 | 13 | 4 | 2 | 25 | 99:140 | 32 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 43 | 27 | 7 | 1 | 8 | 133:99 | 62 |
| ვანკუვერი | 43 | 22 | 4 | 4 | 13 | 140:124 | 52 |
| ედმონტონი | 45 | 20 | 6 | 1 | 18 | 123:125 | 47 |
| კალგარი | 42 | 14 | 8 | 4 | 16 | 100:117 | 40 |
| მინესოტა | 42 | 14 | 8 | 2 | 18 | 91:99 | 38 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 41 | 25 | 6 | 0 | 10 | 115:89 | 56 |
| დალასი | 41 | 24 | 4 | 1 | 12 | 117:88 | 53 |
| ფინიქსი | 41 | 18 | 11 | 1 | 11 | 101:89 | 48 |
| ლოს ანჯელესი | 42 | 18 | 7 | 1 | 16 | 142:128 | 44 |
| ანაჰაიმი | 44 | 14 | 6 | 4 | 20 | 108:134 | 38 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

### დეკემბრის საუკეთესო მოთამაშე

**დონალდ ოდეტი (ატლანტა)**

საუკეთესო ექვსეული
1-31 დეკემბერი

ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი, 1); რობ ბლეიკი (ლოს ანჯელესი, 1); კრის პრონგერი (სენტ ლუისი, 2); ტეო ფლერი (რეინჯერსი, 2); პეტერ ბონდრა (ვაშინგტონი, 1); დონალდ ოდეტი (ატლანტა, 1).

### დეკემბრის საუკეთესო ახალბედა

**ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე)**

საუკეთესო ექვსეული
1-31 დეკემბერი

ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე, 1); ფილიპ კუბა (მინესოტა, 2); დმიტრი კალინინი (ბუფალო, 1); დენ ტკაჩუკი (კალგარი, 1); სერჟ ობენი (კოლუმბუსი, 1); მარიან ჩიზარი (ნეშვილი, 1)

### კვირის მოთამაშე

18-24 დეკემბერი

**ადამ ოუთსი (ვაშინგტონი)**

საუკეთესო ექვსეული

მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი, 2); კრის პრონგერი (სენტ ლუისი, 1); იანე ნიინიმა (ედმონტონი, 1); ადამ ოუთსი (ვაშინგტონი, 1); კეიტ ტკაჩუკი (ფინიქსი, 1); დმიტრი ხრისტიჩი (ვაშინგტონი, 1)

25-31 დეკემბერი

**მარიო ლემიე (პიტსბურგი)**
**იარომირ იაგრი (პიტსბურგი)**

საუკეთესო ექვსეული

მენი ფერნანდესი (მინესოტა, 1); სერგეი გონჩარი (ვაშინგტონი, 1); რობ ბურკი (კოლორადო, 2); იარომირ იაგრი (პიტსბურგი, 1); მარიო ლემიე (პიტსბურგი, 1); პეტერ ბონდრა (ვაშინგტონი, 1)

1-7 იანვარი

**მიქაელ ნიულანდერი (ჩიკაგო)**

საუკეთესო ექვსეული

პატრიკ ლალიმი (ოტავა, 2); კრის პრონგერი (სენტ ლუისი, 2); უეიდ რედენი (ოტავა, 1); მიქაელ ნიულანდერი (ჩიკაგო, 1); ჯო საკიკო (კოლორადო, 4); პიერ ტარჯონი (სენტ ლუისი, 2)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ზურაბ მეძველია
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**კალათბურთის რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge